ᲗᲝᲛᲘᲡᲘ

№ 3

1929

ლაშქრობა მოსავლისათვის

პიონერებო!

ჩვენს წინაშე ამჟამად მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა დგას. ეს არის მოსავლიანობისათვის ლაშქრობის ჩატარება.

ლაშქრობა მოსავლიანობისათვის ტარდება საქ. კომკავშირის მიერ, რომელიც დაიწყება თებერვლის 15-დან და გასტანს მოსავლის საშემოდგომო დღეასწაულამდე.

ჩვენ, პიონერები, ვალდებულნი ვართ კომკავშირელებთან ხელი-ხელჩაკიდებული გავყვეთ იმ ლაშქარს, რომელიც ზრუნავს საბჭოთა ქვეყნის მინდვრების განაყოფიერებისა და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

წელს სოფლის ყველა კოლექტივი უკვე უნდა ემზადებოდეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის სათანადოდ ჩატარებისათვის.

საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხეში უნდა გაჩაღდეს პიონერთა კოლექტივების მუშაობა და იზრუნონ მოსავლიანობისათვის.

ლაშქრობის დროს პიონერებმა ხშირი საუბრები უნდა გამართონ გლეხებთან და მისცენ მათ რჩევა-დარიგება სათესლე ხორბლეულობის გადარჩევაში. გამოცდილება კი გვეუბნება, რომ იმ გლეხს, რომელიც ყანაში გადარჩეულ ხორბალს სთესავს, ბევრად მეტი მოსავალი მოსდის, და პიონერებიც სწორედ ამიტომ არიან ვალდებულნი განუმარტონ გლეხებს სათესლე ხორბლეულის გადარჩევის მნიშვნელობა.

აქვე მოვიყვანთ მაგალითს, თუ როგორი შედეგი მიიღო ერთმა პიონერ-კოლექტივმა, რომელმაც თავის ქცევა მიწაზე გადარჩეული ხორბალი დათესა.

პიონერებმა აიღეს 300 მარცვალი ხორბალი და გადაარჩიეს — მიიღეს სამი სხვადასხვა ხარისხის მარცვალი: მსხვილი, საშუალო და წვრილი. სამივე ხარისხის ხორბლისაგან დათესეს ას — ასი მარცვალი. მოსავლის მოწევის დროს გამოირკვა, რომ მესამე ხარისხის 100 მარცვალში განაყოფიერდა მხოლოდ 43, და 100 მარცვალი მხოლოდ 2 გრამს იწონიდა.

მეორე ხარისხის 100 მარცვალში კი განაყოფიერდა 69 და მათგან მიღებული ხორბლის 100 მარცვალი 3½ გრამს იწონიდა, ხოლო პირველი ხარისხის (ე. ი. მსხვილი) 100 მარცვალში განაყოფიერდა 87, და 100 მარცვალი ხორბალი 6 გრამს იწონიდა.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სათესლე ხორბლეულის შერჩევას. მაშასადამე, თუკი გლეხები ყანებში გადარჩეულ ხორბალს დათესავენ, მათი მოსავალიც ერთი-ორად გაიზრდება...

საბჭოთა კავშირში მოსავალი წელს, გასულ წლებთან შედარებით, 35 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

ამაზე მსჯელობდენ ამ რამოდენიმე ხნის წინათ ცაკის სესიაზე შეკრებილნი, და პიონერებმაც სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას უნდა შეუწყონ ხელი.

ამთავითვე უნდა დაიწყოს შეჯიბრი მოსავლიანობის ხელის შემწყობ კოლექტივისათვის.

პიონერთა მთელი ენერგია ამ საქმეს უნდა მოხმარდეს.

ამასთან ერთად, ლაშქრობის დროს ჩვენს წინ დგას კიდევ სხვა საკითხები: სათესი მინდვრების გასინჯვა, ნიადაგის სათანადოდ განაყოფიერება, ნათესის მოვლა, პიონერ-კოლექტივებთან და სკოლებთან საბაღო და საბოსტნე მიწების შექმნა და მრავალი სხვ.

ამასთანავე უნდა ვებრძოლოთ მინდვრების, ბაღების და ბოსტნების ყველა მავნებლებს.

ამ ამოცანების შესრულებაში პიონერებმა აუცილებლად უნდა შეაკავშირონ გლეხური ახალგაზრდობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პიონერთა კოლექტივებს ევალებათ განსაკუთრებული ენერგიით დაეხმაროონ ღარიბ ოჯახებს, ქვრივებს და წითელარმიელთა ოჯახებს მათი მეურნეობის გაუმჯობესებაში.

პიონერები ვალდებულნი არიან, სოფლის საბჭოების დახმარებით, ღარიბ ოჯახებისათვის შეიძინონ და გადაარჩიონ სათესლე ხორბალი და, თუკი საჭირო შეიქნა, შეაგროვონ თვით სოფელში სათესლე ხორბალი ღარიბთა ყანების დასათესად.

მოსავლიანობისათვის ლაშქრობის დროს თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ქალაქელმა პიონერებმაც.

მათ შეუძლიათ აიღონ შეჯიბრება სოფლის პიონერთა კოლექტივებზე, დაეხმაროონ მათ ლაშქრობის წარმატებით ჩატარებაში, მიაწოდონ სოფლის კოლექტივებს სათანადო ლიტერატურა სოფლის კულტურული მეურნეობის შესახებ.

ყველა სოფლის პიონერ-კოლექტივებო, შეუდექით მუშაობას ჩვენი სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად!..

შ. ასტაშევა.

შინაარსი:

		გვ.
1.	25 თებერვალი — მ. ელიოზარაშვილი	1
2.	ბავშთა კომ. რესპ. ორგან. მუშაკთა თათბ. გამო — აკ. მახათაძე	2
3.	მენშევიკურ საპყრობილეში — ბ. ბიბინეიშვილი	3
4.	მუშურ-გლეხური წითელი არმია — ვ—ო	6
5.	იეში ნიმურა — ს. ერთაწმინდელი	7
6.	პიონერის თქმა — ლექსი — აკაკი სოხაძე	9
7.	25 თებერვალი — ლექსი — ს. წეველი	9
8.	ზამთრის სურათები — ლექსი — ვ. გაბესკირია	10
9.	პიონერი გივი — ლექსი — კალე ბობოხიძე	11
10.	მოჯამაგირე თია — ა. ჩ—ია	10
11.	კულტურული ლაშქრობა საბჭოთა კავშირში	13
12.	გაზეთი	14
13	საბჭოთა ქვეყანაში — ნ. ს—ი	18
14.	ბურჟუაზიულ ქვეყნებში — კ. მელაძე	19
15.	მიმიკრია და უცნაური მნათობნი — ისარი	19
16.	დირიჟაბლის გაყინვის საწინააღმდეგო საშუალება — თ. ჩერქეზიშვილი	20
17.	თამაშობანი — გარეკანზე	

329.153(05)
ა-47.

მუშათა კლასის საძმისათვის იყავ მზად!

პიონერი

1929
15 თებერვალი

საქართველოს ბ. კ. ფ. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 3

25 თებერვალი

ძვირფასო ბავშვებო! რვა წელი სრულდება დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა.

ეს იყო 1921 წლის 25 თებერვალს. დიდხანს იბრძოდა საქართველოს პროლეტარიატი, განსაკუთრებით დღიდან თვიმპყრობელობის დამხობისა (1917), როდესაც მენშევიკებმა სხვადასხვა ხრიკებით, ცრუ კენჭის ყრით და სხვა მათთვის საკადრისი საშვალებით იგდეს ხელში ხელისუფლება. გაჩაღდა ბრძოლა. ერთ მხარეს იყვნენ თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და შეცდომაში შეყვანილი ზოგი მუშა და გლეხი, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ შემოთანხმებელ-გამყიდველი მენშევიკები, მეორე მხარეს — მუშები და გლეხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

არაფერს ერიდებოდა მენშევიკების მთავრობა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის: დატუსაღება, გადასახლება, დახვრეტა, წამება, ბურჟუაზიული ქვეყნების (ინგლისის, იტალიის და სხვა) ჯარების შემოყვანა და სხვა. მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის პროლეტარიატის და წითელი არმიის დახმარებით დაემხო მენშევიკური მთავრობის ძალაუფლება.

ალბათ, ბევრ თქვენგანს ახსოვს, თუ რა გააკეთეს ამ „ქართველი ერის აყვავებისათვის თავგანწირულმა შვილებმა“.

გაიწმინდა მათგან ჩვენი საზღვრები, და დაიწყო ნორმალური ცხოვრება. მე მგონია, აღარ უნდა იყოს ისეთი მუშა, გლეხი, პატიოსანი მოქალაქე, რომელიც არა ხედავდეს, რა მოგვცა ამ რვა წელმა: მუშებისათვის ბინების აგება, წარმოებების გაფართოება, შეკეთება, ხელფასის გადიდება, შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, კლუბების, სამკითხველოების გამრავლება, გლეხების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ტრაქტორების და სხვა მანქანების შეძენა, კომუნების შექმნა, სოფლად კოოპერაციის განვითარება, „ზაჰესი“, „რიონჰესი“, „აბჰესი“, „აჭარჰესი“... აი რა „პატარა“ საქმეები გაკეთდა ამ „დიდ“ ხანში!

განა შეგვეძლო ნატვრა იმისა, რაც ეხლა ჩვენა გვაქვს? ცხადია, არა. ავიღოთ ჩვენთვის უახლოესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი — სკოლა. ყველა ღარიბ ბავშს აქვს უფასოდ სწავლის საშვალება; ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოები, აღარ არიან ისეთი მასწავლებელნი, რომლებიც ჟანდარმებს უფრო ჰგავდენ მოწაფეებისადმი თავისი უხეში მოპყრობით, ვიდრე მასწავლებლებს, მთელ რიგ სკოლებში მოწყობილია საკლუბო დღეები, ცხელი საუზმეები, ყურადღებას აქცევენ ჩვენს კულტ-განვითარებას და სხვა.

ავიღოთ გასართობნი: არსდება სპეციალური ბავშთა თეატრები (მოზარდ მაყურებელთა თეატრი და სხვა), ეწყობა საბავშო დილები და კინო-სეანსები, უშვებენ სპეციალურ კინო-სურათებს, ეწყობა თამაშობანი და სხვა.

ავიღოთ ოქტომბრის შვილი — პიონერ-ორგანიზაცია, სადაც ყველა მშრომელის შვილს შეუძლია შევიდეს და იმუშაოს. რა ჰქონდათ ამის მაგვარი მათ?

მაგრამ არა კმარა გასაბჭოების რვა წლის თავზე იცოდე შენი მიღწევები, შემოიდო ფეხი ფეხზე და გულდამშვიდებული იყო. ჯერ შორსა ვართ კიდევ, ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, ბევრი სიძნელე-გვიდგას წინ, რომლების გადალახვაც შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა პიონერი, ყველა მოწაფე იგრძნობს, რომ მას კიდევ ბევრი აქვს გარდასაქმნელი, როდესაც ის როგორც თავის კერძო, ისე საერთო საქმეს დაუკავშირებს საზოგადოებას და მის ინტერესებს, მიიღებს მხურვალე მონაწილეობას, როგორც თავისი ცხოვრების (ახალი სკოლის, პიონეო-ორგანიზაციის) გარდაქმნა-მშენებლობაში, ისე საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აი ეს არის ჩვენი მიზანი. ასე გვინდა შევხვდეთ ჩვენ საბჭოთა საქართველოს დიად დღესასწაულს — 25 თებერვალს.

მ. ელიჯარაშვილი

გავშთა კომუნისტური რესპუბლიკანური ორგანიზაციების მუშაკთა თათბირის გამო.

15 თებერვლისათვის მოწვეულია ს. ბ. კ. ო. მუშაკთა მეოთხე რესპუბლიკანური თათბირი, რომელმაც, ერთის მხრივ, ჯამი უნდა გაუკეთოს ჩვენს განვლილ მუშაობას და, მეორეს მხრივ, დასახოს ს. ბ. კ. ო. მომავალი მუშაობისა და განვითარების გზები.

მეოთხე თათბირი თავისი მნიშვნელობით აუცილებლად საპატიო ადგილს დაიჭერს, იმიტომ რომ მესამე თათბირის შემდეგ ჩატარდა საქ. ა. ლ. კ. კ. მე-9 და საკავშირო კომკავშირის მე-8 ყრილობები, რომლებმაც მოგვცეს ნორჩ პიონერთა შორის მუშაობის და მასზე კავშირის ხელმძღვანელობის გეზი. ამას ემატება გასულ თვეებში ა.-კ. ბ. კ. ო. და საკ. მასშტაბითაც ჩატარებული თათბირები, რომლებმაც სწორედ ასახეს დღევანდელი პერიოდი ნ. პ. ო. განვითარებისა და, რაც მთავარია, რადიკალური გარდატეხა შეიტანეს პიონერთა ორგანიზაციის მუშაობისა და აღზრდის სისტემაში.

ჩვენი თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) მოხსენება ადგილებიდან (თ. ო. „26" რაიონის, ქუთაისის მაზრა და ოზურგეთი). აღნიშნული ორგანიზაციები წინასწარ იქნენ გამორკვეული და შესწავლილი. აგრეთვე ამ სამი დამახასიათებელი ორგანიზაციის მოხსენებიდან ჩვენ შეგვიძლია დავხატოთ მთელი საქართველოს ბ. კ. ო. მუშაობისა და მდგომარეობის სრული სურათი.

2) მუშაობის ახალი სისტემა — ამ საკითხის განხილვის შემდეგ მთელი საქ. ორგანიზაცია გადავა მუშაობის ახალ სისტემაზე, რომელიც აგებულია პიონერთა და საერთოდ ბავშთა ჯანსაღი თვითმოქმედების საფუძველზე და შეესაბამება პიონერთა ფართო მასების მოთხოვნილებებს. ცხადია, ახალი სისტემით მუშაობის დაწყება არც ისე ადვილია, მაგრამ მას ჩვენ ვავძლევთ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს რუსეთის მოძმე და ჩვენი (ტფილისის) ორგანიზაციების გამოცდილება.

3) ნ. პ. ო. ამოცანები სოფ. მეურნეობის განვითარებაში და მის კოლექტივიზაციაში; პარტიის, ხელისუფლების და კომკავშირის საქმიანობა და ამოცანები ამ დარგში. პირველ გამოხმაურებას უნდა ჰპოვებდეს პრაქტიკული საქმიანობით პიონერ.-ორგანიზაციაში. ამ ფრონტზე მუშაობის ცდები ჩვენ გვაქვს, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ რუსეთის ორგანიზაციები ძალზე გვისწრებენ წინ, თათბირზე ამ საკითხის დამუშავება კი მოგვცემს საშუალებას სოფ. მეურნეობის განვითარების საქმეში დავეხმაროთ პარტიას და კომკავშირს.

4) პიონერ-მოძრაობა და სკოლა, კულტურული რეოლუციის საკითხი და ჩვენი განათლების სისტემის თანდათანობითი გარდაქმნა ისე, რომ მან შესძლოს სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრების აღზრდა,-უდიდეს ყურადღებას მოითხოვს სკოლისადმი. კომკავშირის უახლოეს თანაშემწეს ამ საქმეში უნდა წარმოადგენდეს პიონერთა ორგანიზაცია. უკანასკნელს სასკოლო საქმიანობაში და, რაც მთავარია, სასკოლო ცხოვრების ხელში აღების საკითხში დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ ნაკლიც ჯერ ბევრია. თათბირმა პრაქტიკული გამოსავალი უნდა მოგვცეს საქმის კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

5) ნ. პ. ო. ხელმძღვანელობის სისტემა. ეს საკითხი, ერთის მხრივ, გამომდინარეობს მუშაობის ახალი სისტემიდან და მეორეც—კომკავშირის აპარატის და ყოველგვარი მუშაობის რაციონალიზაციიდან.

მეექვსე საკითხი — ეს არის სექციების მუშაობა. თათბირზე იმუშავებს ერთი სექცია — ოქტომბრელთა შორის და სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში მუშაობის სექცია. ამ სექციების მუშაობაც მოგვცემს პასუხს იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომელიც ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება.

თათბირი თავისი შემადგენლობით საკმაოდ ფართე იქნება, მას დაესწრებიან ქვედა მომუშავეები (თემბიუროს თავმჯდომარეები და კოლექ. ხელმძღვანელებიც), ამიტომ ჩვენ საშუალება გვექნება ფართედ გამოვამზეურონ ნ.პ. ორგ. მიღწევები და ნაკლოვანებები, განსაკუთრებით კი ხაზი გაესმება იმ მდგომარეობას, რომ კ. კ. ქვედა ორგანიზაციები (და ზოგჯერ კომიტეტებიც) არ ხელმძღვანელობენ პიონერთა ორგანიზაციებს. ასე, როგორც საჭიროა. ასევე და მეტიც უნდა ითქვას პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომელთა მზრუნველობა პიონერთა ორგანიზაციებზე, მათი მოთხოვნილების ზრდის პერიოდში, მეტად სუსტია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ზემოაღნიშნულ საქმიანობას გაითვალისწინებენ პ. ო. მუშაობაში დაინტერესებული ორგანიზაციები და მიიღებენ თათბირის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას, პიონერ-მომუშავეებმა კი ეხლავე უნდა მოამზადონ თავისი აზრი და გამოცდილება ყველა საკითხზე, ფაქტიურ მდგომარეობასთან შეფარდებით.

გარდა ამისა, ყველა მაზრამ უნდა მოახერხოს ქვედა მომუშავეების გამოგზავნა თათბირზე, რითაც თათბირი კიდევ უფრო საქმიანად დასრულდება და გაშლის მუშაობას ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ.

ა. კ. მახათაძე

იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები ამჟამად დაახლოვებით 50 წლის არიან, არა აქვს საფუძველი იმედი ჰქონდეს, რომ მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას, ხოლო ის თაობა, რომელიც ახლა 15 წლის არის, იხილავს კიდეც კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონვე იმუშავებს ამ საზოგადოების აშენებისათვის. (ლენინი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკურ საპყრობილეში

(მოგონება)

1918 წლის მარტში, იმპერიალისტური ომის ფრონტიდან დაბრუნებული, მოსკოვში ჩავედი. ვინახულე კრემლში ამხ. სტალინი და გავიგე ამიერ-კავკასიის გამოყოფის და კომისარიატის დაარსების ამბავი. ამ უდღეურ კომისარიატს თავისი ფულის ნიშნებიც გამოეშვა. „ზედ ქათმები ხატია“ — ოხუნჯობდა ამხ. კობა.

აქვე პირველად და უკანასკნელად ჩემს სიცოცხლეში ვნახე დიდი ლენინი. ეს სწორედ იმ დღეს იყო, როცა გაზეთ „რუსკოე სლოვო“-ში ეწერა, ლენინი მძიმედ გახდა ავად ფილტვების ანთებითო. ოქტომბრის რევოლიუციის მეხუთე თვეზე ბურჟუაზიული გაზეთები კიდევ თავისუფლად გამოდიოდა მოსკოვში და წამლავდა ჰაერს ბოროტი ცილისწამებით. რკინის გზაზე წესიერი მიმოსვლა შეწყვეტილი იყო და საჭირო გახდა სპეციალური მატარებლის დანიშნა გამოსამგზავრებლად. ამ მატარებლით გამოემგზავრენ ლენინგრადის და მოსკოვის ქართველი მოსწავლენი, ექიმები და სხვები. მათ შორის იყვნენ ამხ. არჩილ მიქაძე, ამხ. შ. ლეჟავა და სხვები.

ამავე მატარებლით გამოვემგზავრე მეც ამხ. აბელ ენუქიძის და ამხ. სტალინის მანდატით და სადირექტივო წერილით ამხანაგებთან... თუ არა ეს მანდატი, ძნელი იქნებოდა უხიფათო მგზავრობა, ვინაიდან გზებზე დიდ რეპრესიებს ქონდა ადგილი. ეს ის დრო იყო, როცა ადგილებზე საკუთარი რევკომები (რევოლიუციონური კომიტეტები) განაგებდენ საქმეებს თავისი შეხედულებით, როცა ფრონტიდან მოხსნილი ჯარისკაცები შინ მიიჩქაროდენ, ცენტრიდან კი ახლად შექმნილი წითელი გვარდიის ნაწილები ახალი სამოქალაქო ფრონტებისაკენ მიიწევდენ, როცა მატარებლების შედგენას და გაშვებას რკინის გზის მოხელეებს არ აცლიდენ და სხვა.

ჩავედით როსტოვში. აქ ვინახულე ამხ. სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც 1905 წლის შემდეგ არ შევხვედროდი... კონტრ-რევოლიუციონერი გენერალი კალედინი როსტოვის ახლო იდგა და მასთან როსტოვის ქალაქის თვითმართველობა, მენშევიკ-ესერებისაგან შემდგარი, მოლაპარაკებას აწარმოებდა.

როსტოვიდან ტუაპსეში და იქიდან კი ზღვით სოხუმში ჩავედით. აქ უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო, ელოდენ მენშევიკური მთავრობის თავდასხმას და ემზადებოდენ დასახვედრად. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში უკვე ქუთაისში ვიყავი.

ესეც მენშევიკების ნაქები „ოაზისი“ — საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა! დამოუკიდებელი მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციისაგან, რუსეთის პროლეტარიატისაგან, და ფრიად დამოკიდებული დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისაგან! „ევროპის იმპერიალისტები ბირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“ (იგულისხმებიან ბოლშევიკები), ამბობდა მათი ბელადი ნოე ჟორდანია. მეგობრული მოლაპარაკება რუსეთის კონტრ-რევოლიუციასთან გენერალი ალექსეევის სახით: „ჩვენ და თქვენ ერთ წერტილში ვცემთ—ეს არიან ბოლშევიკები“ —ურცხვად ეუბნებოდა გარეშე საქმეთა მინისტრი მენშევიკი ევგენი გეგეჭკორი გენერალ ალექსეევს...

გლეხების აჯანყება სამეგრელოში, ლეჩხუმში, შემდეგ დუშეთის მაზრაში, გურიაში და სხვაგან, კანონის გარეშე გამოცხადება გლეხების, სამხედრო-საველე სასამართლოების ამოქმედება — აი მათი დემოკრატიზმი. დევნა აჭარლების, აფხაზების, ოსების, ომი ადერბეიჯანთან, სომხეთთან — აი, ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა მენშევიკურად. მთელი ციხეები საქართველოში ბოლშევიკებით იყო გავსებული. ხშირი იყო სიმშილობის გამოცხადება ტუსაღების მიერ. თუ რა პირობები იყო იმ დროს მენშევიკების ციხეებში, მეტი არ იქნება მოგითხროთ, რაც პირადად გადამხდა თავს.

ამხ. ბ. ბიბინეიშვილი

1919 წლის მარტის პირველი რიცხვებია. ავლაბარში, კახეთის მოედანზე, ერთ სახლში დანიშნულია პარტიული კრება. დანიშნულ საათზე შევდივარ ოთახში და ვხედავ 3-4 ამხანაგს, მათთან ერთად კი განსაკუთრებული რაზმის უფროსს კედიას თავისი დამქაშებ თ. მინდა უკან გამოვბრუნდე, მაგრამ უკვე გვიანაა. თავაზიანად მესალმება ბ-ნი კედია... ამხანაგები თანდათან შემოდიან. მათ გაოცებას საზღვარი არა აქვს—კედია ყველას ესალმება. უკვე მოვგროვდით 12-13 ამხანაგი. ეტყობა, მეტი არც უნდა მოვიდეს. აქ იყვნენ შემდეგი ამხანაგები: საშა შახსუვარიანი, (დაშნაკების მიერ შემდეგ სომხეთში მოკლული), ალიხანოვი, რკ. გზ. მუშა ციმაკურიძე და სხვები.

წაგვიყვანეს და განსაკუთრებული რაზმის შენობაში ჩაგვაბარეს ფაჩულიას, რომელმაც განსაკუთრებით მე დამიწყო თვალიერება.

— ვერ მიცანით, ბ-ნო ფაჩულია?—შევეკითხე მე. განა დაგავიწყდათ 1908 წელი, როცა ქუთაისში ბოქაულად იყავით? მაშინაც ხომ თქვენ დამატუსაღეთ!..

ეტყობოდა, ეს გახსენება არაფრად ეამა...

უკვე ღამის ორი საათი იყო, როცა საგუბერნიო ციხეში მიგვიყვანეს. რადგან მეტად გვიანი იყო, დილამდე ციხის კანტორაში დავრჩით.

დილით ციხის ადმინისტრაციამ ჩვეულებრივი პროცედურა ჩაატარა და გაგვისტუმრა, მხოლოდ ციხის ზედამხედველების მაგიერ გარს შემოგვერტყა რამდენიმე ტუსაღი. გაგვიძღვენ კამერაში...

„ჩანს, აქ ტუსაღებს თვითმართველობა ქონიათ, ეს კარგია“—ვეუბნები ამხანაგს. მაკვირვებს მხოლოდ ის, რომ კანტორაში არ ჩამოურთმევიათ არავისთვის ფული და ძვირფასი ნივთები, თუ ვისმე ჰქონდა.

აგვიყვანეს ციხის ზემო სართულში და გაგვაჩერეს დერეფანში. იან განკარგულება გასცეს — კამერა დაეგავათ.

კამერაში აუარებელი ნაგავია, არც ერთი ტახტი, სკამი. ვუყურებ და მიკვირს, ნუთუ აქ უნდა მოგვათავსონ. ჩემი ყურადღება მიიქცია კიდევ იმ გარემოებამ, რომ ციხის ზედამხედველები არსად ჩანდენ. თვალი



ამხ. ფ. მახარაძე

მოვკარი მხოლოდ ერთს, შეშინებულ ლამურასავით კუთხეში მიკუნჭულიყო... ტუსაღები კი ერთმანეთში ირეოდენ, ხმაურობდენ...

ამ დროს ტუსაღებმა ერთმანეთში ჩხუბი ატეხეს. ერთმა მათგანმა წამოიწია წინ, იძრო რევოლვერი და დაიყვირა: „По местам". ყველანი თავიანთ კამერებში გაილალენ... ჩვენც მოგვცა წინადადება ჩვენს კამერაში შევსულიყავით. შევედით თუ არა ცარიელ ამტვერებულ კამერაში, გარედან კარები გამოგვიკეტეს. გაოცებულნი ერთმანეთს შევცქეროდით. სახეზე ყველას კითხვითი ნიშანი გამოსახოდა, კრინტს კი არავინ ძრავდა...



ამხ. მ. ცხაკაია

იღება კარები და შემოდის 5-6 ტუსაღი. გვეკითხებიან: „კანტორაში გაგჩხრიკესთ თუ არა". უარით რომ ვუპასუხეთ, შეუდგენ ჩხრეკას. ამოგვაღებინეს, ვინაც რა გააჩნდა: ფული, საათი, ბეჭდები და სხვა. ყველაფერს იბარებდა ერთი მათგანი, მხოლოდ ფულს არ სთვლიდა, ნივთებს არ ათვალიერებდა, არ სწერდა, ვის რას ართმევდა.

ამას რომ მორჩენ, უბრძანეს ერთ ამხანაგს გაეხადა ტუჟურკა, მეორეს ჩექმები, მესამეს პალტო, ტანსაცმელი, ერთი სიტყვით, მოუყარეს თავი, რაც მოეწონათ, მოუსვეს ხელი და გაუდგენ გზას, თან კარები გაიკეტეს. ეხლა ყველა მიხვდა, თუ რაში იყო საქმე, მხოლოდ, თითქო ენა წაერთვათ, ხმას კიდევ არავინ იღებდა...

5-10 წუთის შემდეგ იღება კარები, შემოდის სამი, ჩვენს გაწმენდაში „მონაწილე", მათ მოუძღვის ერთი კოხტად გამოწყობილი, ბრილიანტის ბეჭდიანი, ოქროს ძეწკვებით, გაპარსული ქერა ახალგაზრდა და გვეცნობა: მე ესერი (სოციალისტ-რევოლიუციონერი) ხინტკირია ვარ, კერენსკის დროს დიდი თანამდებობის მქონე, ეხლა კი ტუსაღიო. თან მღელვარებით მოგვმართა: „გავიგე, რომ კომუნისტები ყოფილხართ. მე, თვით იდეურს, მიყვარს იდეური ხალხი, თაყვანს ვცემ მათ და მზად ვარ მათ სამსახურად. მე ვარ აქაური მამასახლისი და თუ ვინმემ გაწყენინოსთ, მე მომმართეთ. ერთმა ამხანაგმა ამ წუთში რაღაცები მიფეშკაშა და, სხვათა შორის, აი, ეს ბეჭედი, მხოლოდ არა მგონია, თქვენი იყოს".

ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი წინ წარდგა და გულუბრყვილოდ განაცხადა: „ეს ჩემი ბეჭედია და აი ამ ტუსაღმა წამაძრო ხელიდან". და ამასთანავე მან მიუთითა ერთ-ერთ პატიმარზე. ხინტკირია ამხანაგს ბეჭედს უბრუნებს, ამხანაგს კი ხელდადებული ტუსაღი ანიშნებს მას დერეფანში გაჰყვეს, და ისიც მიჰყვება. გავიდენ თუ არა, მოგვესმა ცემის ხმა, და ჩვენი ამხანაგი თავპირდასისხლიანებული კამერაში შემოვარდა, ხინტკირია მხლებლებით კი მაშინვე კამერიდან გავიდა...

ყველაფერი უკვე აშკარა იყო, და ჩვენც შევუდექით ბჭობას, თუ როგორ მოვქცეულიყავით. ჩემი წინადადება იყო დაგვებარებია ციხის უფროსი და ყველაფერი გვეთქვა. არც ერთი ამხანაგი ამის მომხრე არ აღმოჩნდა: ეშინოდათ, რომ გავამხილოთ, ყველას ყელებს დაგვჭრიან და ჩვენი მშველელი არავინ იქნებაო. თანაც შევიტყეთ, რომ ასეთი ამბები იქ დიდი ხანია ხდებოდა. ციხის ადმინისტრაციამ ყველაფერი ეს იცოდა, მაგრამ ან ტროროის ქვეშ იყო, ან (ეს უფრო ახლოა ჭკუასთან) თვითონ ედვა წილი ძარცვა-გლეჯაში.

ციხეში ხმა დადიოდა, ვიღაც ტუსაღი „სულიანხორციანად" გაფცქვნესო, შემდეგ ოქროს კბილები დააძრესო.

ამასთან ერთად ციხეში ღამ-ღამობით ქეიფობდენ და საშინელ გარყვნილებას ჰქონდა ადგილი... ღამის ყველას გვეშინოდა, არავინ იცოდა, გათენებამდე რა მოგვივიდოდა. გადავწყვიტეთ დავნაწილებულიყავით და 2-3 ამხანაგი გადავსულიყავით კატორღელთა კამერებში. ეს ჩვენ შევასრულეთ ზედამხედველის დახმარებით.

დაღამდა თუ არა, ჩვენს კამერაში შემოდის ერთი ტუსაღი და წინადადებას მაძლევს მის კამერაში გავყვე. მე დიდხანს უარზე ვიდექი, მაგრამ რაკი არ მომეშვა, რა უნდა მექნა, გავყევი. დამიწყეს გამოკითხვა, თუ ვინ ვიყავი, რას ვაკეთებდი და რისთვის დამატუსაღეს. მოკლედ ვუპასუხე ყველაფერზე. მაშინ მომიბრუნდა ერთი ტუსაღი და მეუბნება:

— ყველაფერი, რასაც თქვენ ამბობთ, ტყუილია. ჩვენ ნამდვილი ცნობები გვაქვს, რომ თქვენ მენშევიკების კომისარი ყოფილხართ, ხალხი გიწკალებიათ... ამისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ პასუხი მოგთხოვოთ. თუ გინდათ ცოცხალი გახვიდეთ ციხიდან, ტუსაღების სასარგებლოდ ათასი მანეთი უნდა გადაიხადოთ...

ვეუბნები: რაც რამ გამაჩნდა, დილას წაიღეს, ეს ერთი ტანსაცმელი დამრჩა და ამასაც ხომ არ გამხდით მეთქი...

რატომ არა! ტანისამოსი უნდა დაგვიგირავო, სამაგიეროდ რამე ფარაჯას გიშო-

ამხ. ს. ორჯონიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით და როცა გარედან ფულს დაიბარებთ და გადმოგვცემთ — დაგიბრუნებთო.

ვცადე შემერცხვინა ისინი, მაგრამ სინდის და ნამუსგარეცხილ, გაპირუტყვებულ ადამიანებზე განა ეს იმოქმედებდა? მხოლოდ ეს შევძელი, რომ მეორე დღემდე გადავადებინე საქმის სისრულეში მოყვანა...

გათენდა თუ არა, შევუდექით იმაზე ზრუნვას, თუ რა უნდა გვეღონა, რომ თავიდან აგვეცილებია ასეთი საშინელება. გავიგეთ, რომ ქვედა სართულში მოთავსებული იყვნენ დუშეთის აჯანყების დროს დატუსაღებული გლეხები. გადავწყვიტეთ მათთან დაბინავება და განზრახვა შევასრულეთ კიდეც.

ამის შემდეგ შიში აღარავისი გვქონდა. ერთი რკინის კრაოტი დავარღვიეთ და მარჯვე ბიჭები რკინის ჯოხებით შეკაიარაღეთ. კარები კარგად დავამაგრეთ და, როგორც იქნა, „მოვისვენეთ“.

ტუსაღების მტრობას ჩვენდამი საზღვარი არ ჰქონდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ დღისით, როცა ყველა თავმოყრილი ვიყავით მეზობელ კამერაში, კატორღელებთან, — ერთმა მათგანმა სიტყვის შებრუნებისათვის, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სილა გამარტყა, თან დანაზე ხელი წაივლო... კამერაში 15-20 კაცი იყო, და ხმის ამოღება ვერავინ გაბედა. ჩემი მოთმინების ფიალა აივსო და ერთხელ კიდევ გავიწიე ციხის კანტორი საკენ.

ამხ. შ. ელიავა

ჩემმა ამხანაგებმა ღონე ჩემზე გამოიჩინეს და არც ეხლა მომცეს ადმინისტრაციისთვის შეტყობინების ნება.

მეტი აღარა დამრჩენოდა რა და მაშინვე შევუდექი ვრცელი წერილის წერას შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის სახელზე. ავწერე დაწვრილებით, თუ რა წესები იყო გამეფებული მათ ციხეში. არ დავრიდებივარ „მის აღმატებულებას“ და წერილს ასე ვათავებდი:

„იმ დროს, როცა ერთი კვირის შემდეგ უნდა შეიკრიბოს საქართველოს დამფუძნებელი კრება, სადაც ცხრა მეათედი ჩემი ყოფილი ამხანაგები, სოციალ - დემოკრატები, იქნებიან, რომელთა დიდ უმრავლესობას მე პირადად ვიცნობ ერთად მუშაობის დროს და რომლებიც დამფუძნებელი კრების გახსნას დემოკრატიული თავისუფლების დეკლარაციით აღნიშნავენ, ამ დროს აქვე, საქართველოს სატახტო ქალაქის საგუბერნიო ციხეში, პოლიტიკურები ისეთ პირობებში არიან, რომლის მსგავსი არ ახსოვს თვით საშინელ თვითმპყრობელობის ხანას. არ ვიცი, ჩვენ, კომუნისტებს, ისეთი რა დანაშაული მიგვიძღვის, რომ ასეთი უმაგალითო შეურაცხყოფა და დამცირება ავიტანოთ... თუ ჩვენი ფიზიკური არსებობაც დანაშაულია დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმჯობესი იქნებოდა სიკვდილით დასჯა, ვიდრე ასეთი დაშცირების ატანა“.

ამხ. მ. ორახელაშვილი

ეს წერილი მეორე დღესვე გავუგზავნე ამხ. ჯავაირას, რომელმაც დანიშნულებისამებრ გაუგზავნა ნ. რამიშვილს კერენსკის დროინდელი სენატორი რუსი ს.-დ. ნიკ. სოკოლოვის ხელით.

გამოდის, რომ მენშევიკების დროს მათი ხელისუფლება ციხეზედაც ვერ ვრცელდებოდა, იქ ბანდიტები თარეშობდენ, გარეთ კი პოლიტიკას ინგლისელები ხელმძღვანელობდენ, ფაბრიკა-ქარხნები კაპიტალისტების, მიწა—მემამულეების და კულაკების, სახლები კი კერძო სახლის პატრონების ხელში იყო... მუშები და მშრომელი გლეხები ათასნაირ ფრონტზე ყოფით შიმშილ-წყურვილს განიცდიდენ და გმინავდენ... ატმოსფერა მოწამლული იყო შოვინისტური ღვარძლით... რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და, აი, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოშიც მოვიდა დიადი ოქტომბერი, რომელსაც ოთხი წელი დააგვიანდა..,

მუსავატელებსა და დაშნაკელებს მიჰყვენ მენშევიკები, ა/კავკასია კონტრ-რევოლიუციონერებისაგან სავსებით გაიწმინდა.

ევროპის იმპერიალისტების გემებმა ევროპისაკენ გააქანეს ფეოდალურ-ბურჟუაზიული საქართველოს უკანასკნელი ნათშები.

იბადებოდა ახალი საქართველო, საქართველო მშრომელი ხალხისა, გლეხების და მუშებისა. განდევნილი მენშევიკების მაგივრად ჩვენს ქვეყანას სათავეში ჩაუდგენ რევკომები (რევოლიუციონური კომიტეტები), წინამორბედნი საბჭოებისა...

ამხ. მ. კახიანი

ბ. ბიბინეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშურ-გლეხური წითელი არმია

(1918 23/II 1929)

თერთმეტი წელი შესრულდა, რაც წითელი არმია არსებობს. 11 წლის წინად ჩაეყარა მას საფუძველი. საბჭოთა კავშირის მუშებმა და ღარიბმა გლეხებმა შესძლეს თავისი საკუთარი ძალებით გამკლავებოდენ ბურჟუაზიის, მემამულეების და მეფის დამქაშების გააფთრებულ შემოტევას.

23 თებერვალს სრულდება წითელი არმიის არსებობის 11 წლის თავი, და ყველა ჩვენგანი მოვალეა იცოდეს წითელი არმიის ისტორია.

წითელი არმიის დაარსება.

თებერვლის რევოლუციის დროს ხელისუფლების სათავეში ისევ ბურჟუაზია (კერენსკის მეთაურობით) მოექცა. ამავე დროს მუშებმა მთელ რიგ ქალაქებში: პეტროგრადში (ეხლანდელი ლენინგრადი), მოსკოვში, ხარ-



ამხ. კ. ვოროშილოვი — საბჭედრო-რევოლუციონური საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო-საზღვარ სახალხო კომისარი.

კოვში, ტულაში, ოდესაში და სხვაგან — შექმნეს თავისი მუშური რაზმები, რომელსაც წითელ გვარდიას უწოდებდენ. თებერვლის რევოლუციით მოტყუებული მუშები კლასური ბრძოლებისათვის ხელახლად ემზადებოდენ. 25 ოქტომბერს (ძვ. სტ.) ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით პეტროგრადში აჯანყება დაიწყო. წითელი გვარდიის გააფთრებული ბრძოლით პეტროგრადის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭომ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება. ამ ისტორიულ მოვლენას ვერ შეურიგდენ მუშათა კლასის მტრები და იწყეს ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა. ბრძოლა ძალზე გამწვავდა, რუსეთის ბურჟუაზიას სხვა ქვეყნების ბურჟუები და მემამულენიც მიეხმარენ, და საჭირო შეიქნა ძლიერი შეიარაღებული ძალის შექმნა.

1918 წლის 23 თებერვალს გამოქვეყნდა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სახკომსაბჭოს — ისტორიული დეკრეტი **წითელი არმიის** შექმნის შესახებ. აქედან იწყება წითელი არმიის ჩამოყალიბება და ის დიდი ბრძოლები, რომელიც წითელმა არმიამ გამარჯვებით გადაიტანა.

წითელი არმია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის მტრებს ამარცხებს.

ლენინის პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით. წითელი არმია კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას აწარმოებს და ამარცხებს შავრაზმელ გენერლებს (დენიკინს, კოლჩაკს, ვრანგელს და სხვ.). სამი წლის განმავლობაში წარმოებდა რუსეთში სამოქალაქო ომი; წითელი არმია ღირსეულად, გმირულად იბრძოდა და სასტიკად ამარცხებდა მუშათა კლასის მოწინააღმდეგეებს. ბევრი მუშა და გლეხი დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი არმია საშუალებით ბრწყინვალედ გაიმარჯვა, და მუშათა კლასმა ხელი მიჰყო სოციალისტურ აღმშენებლობას.

წითელმა არმიამ გაათავისუფლა საქართველოს მშრომელებიც. საქართველოს მუშები და გლეხები დიდ ტანჯვას განიცდიდენ მენშევიკების ბატონობის დროს. საქართველოს მშრომელნი აჯანყებებს აწყობდენ მენშევიკური ტირანიის წინააღმდეგ, მაგრამ მენშევიკები მათ ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდებოდენ. მენშევიკებმა გადაწვეს ბევრი სოფელი, უამრავი მშრომელი დახვრიტეს და გადაასახლეს. საქართველოს მშრომელთა მოთმინების ფიალა აივსო და 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის დახმარებით მათ თავი გაითავისუფლეს მუშებისა და მშრომელი გლეხების მტანჯველი მენშევიკების ბატონობისაგან.

გავაძლიეროთ წითელი არმია

წითელი არმია მუშათა კლასის და საბჭოთა ხელისუფლების სახელოვანი გუშაგია. ის საბჭოთა კავშირის მუშებსა და ღარიბ გლეხებს იცავს გარეშე და შინაური მტრების თავდასხმისაგან, ამასთანავე აწარმოებს კულტურულ მუშაობას მშრომელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მტერი გვყავს. ამიტომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ წითელი არმია, გავაცნოთ მშრომელ ხალხს მისი მნიშვნელობა, შევამჭიდროოთ რიგები და მტკიცედ ვიდგეთ ოქტომბრის რევოლუციის სადარაჯოზე.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების პირმშოს — წითელ არმიას!..

გაუმარჯოს ძლევამოსილი წითელი არმიის 11 წლის თავს!..

ვ — ო

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲗ ᲘᲛ ᲬᲘᲐᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲕᲐᲧᲔᲜᲔᲗ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲓᲐ ᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲝᲛᲠᲐᲓ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ



ა.

იეში ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა ის მამამ, ასახი ნიმურამ, თან წაიყვანა აბრეშუმის საფეიქრო ქარხანაში, სადაც ის მუშად იყო, და შეაჩვია ხელობას.

ის მალე კარგ შეგირდად ითვლებოდა უკვე. ჭკვიანი, დაკვირვებული იეში საქმისადმი მუყაითობით ყველა მის ტოლ ბიჭს სჯობდა; ქარხნის პატრონის ყურადღებასაც იქცევდა, მაგრამ გამგეს, იოსარა მაკერუტოს, რატომღაც ათვალწუნებული ჰყავდა და ხშირად მძიმე სამუშაოს ასრულებინებდა.

— ცოდოა ბავში, ბატონო მაკერუტო, ნუ დასჩაგრავ. — უთხრა იეშის მამამ გაუბედავად და, შეეხვეწა აღარ ეწვალებია, მაგრამ გამგემ უყვირა:

— შენ ცოტა ფრთხილად, თორემ შენზე მაინც ცნობებია, რომ კომუნისტობსო, და... გაჩვენებ სეირს!..

ასახი ნიმურა სიბრაზით აენთო, მაგრამ გულში ჩაიკლა ჯავრი და აღარაფერი უთხრა.

— რაზე გადაგეკიდა, შვილო, გამგე? — ჰკითხა მამამ, როცა შაბაშის შემდეგ შინ ბრუნდებოდენ.

— არ ვიცი, მამა, შენ რომ წითელი ყელსახვევი გიმიკეთე, ისიც მომხსნა წელან და დახია... მე მგონია იმაზე, თუ...

— რაზე?..

— რაზე და, ვინ რას ლაპარაკობს მუშებში, მოდი და მითხარი ხოლმეო; ამისთვის ფულსაც გაჩუქებო; მე კი...

— რა?!

— უარი ვუთხარი: ეგ ხომ დაბეზღება იქნება მეთქი; აკი შენ გამაფრთხილე, და მაშინ გამახსენდა...

— ჰმ!.. ჯაშუშად უნდოდი?!

— ალბათ, მამილო!..

ასახი ნიმურა რევოლუციონერად ზრდიდა იეშის...

ბ.

ქალაქ კიოტოს განაპირას შუბლმოღუშული გამოიყურება აბრეშუმის ქარხანა, რომლის საკვამლე მილი ისე აზიდულა მაღლა, რომ გიგონებათ ვინმე მოხუცი ზის, ზღაპარს უამბობს ბავშებს და ჩიბუხს აბოლებსო.

აი, გაისმა საყვირი და შეჩერდა მანქანათა ქშენა... მილებით ბოლი შავი ნაფაზის დარტყმით გუნდგუნდად აღარ ადის და ლეგა ეთერში აღარ მიიკლაკნება გველივით...

— ხელფასის მომატება, ადამიანური მოპყრობა და ქარხნის გამგის იოსარა მაკერუტოს გამოცვლა.

აი რა მოითხოვეს მუშებმა და, როცა მექარხნემ უარი უთხრა, გაიფიცენ.

— ვინ არიან მეთაურები? — იკითხა პოლიციის უფროსმა, როცა ქარხანას ალყა შემოარტყა და კანტორაში შევიდა.

— არიან, მაგრამ ისე საიდუმლოდ ინახავენ, რომ ვერ გავიგე... ეჭვი კი მაქვს სამზე... — მიუკო ღიმილით მაკერუტომ და სიგარა გაუწოდა.

— გმადლობთ, ბატონო მაკერუტო... მაინც?

— ასახი ნიმურა, ივარო მაკატა და ბანაკირა ტოკუ; ამ სამს რაღაც თავხედურად უჭირავს ხოლმე მუდამ თავი...

— ჰმ... ეგ კარგი, მაგრამ... იქნებიან, ალბათ, კიდევ... ეხლა ამ მუშებში ისეთი საშინელი სენი ვრცელდება კომუნიზმის სახით, რომ საჭიროა ძირშივე აღმოფხვრა; იაპონიის ამოშავალი მზის ქვეყანაში ეს დაუშვებელია; მუშებში უნდა იყოლიოთ თქვენი აგენტები, რომ ამბები მოგიტანონ, რომელთაც ჩვენ შეგვატყობინებთ ხოლმე... მაგ სამის კვალს კი ისე დავკარგავთ, რომ იყო და არა იქნება-რა; მაგრამ მიგვითითეთ ერთ რომელიმე სუსტზე, რომლის გამოტეხვითაც სხვებს აღმოვაჩენთ...

— მგონია, ბარონ იოშავა, ერთი რომელიმე ბავში გამოგადგებათ მაგ საქმისთვის... არ შეიძლება მათ არ იცოდენ, ვინ აღელვებს აქაურობას; ისინი კრების დროს ხშირად ბავშებს ადარაჯებენ ხოლმე, რომ ეჭვი არავინ აიღოს; თუ რაიმე საფრთხე შენიშნა, ბავში კრებას ატყობინებს.

— იქნებ დაასახელოთ რომელიმე?..

— აი, თუნდაც ასახი ნიმურას შვილი, იეში, ისიც მამასთან ერთად მუშაობს...

— შემოიყვანეთ!.. — გასძახა პოლიციის უფროსმა.

ᲖᲐ.

— არაფერი ვიცი!.. — ამ სიტყვების მეტი იეშისაგან ვერა გაიგეს, რა, მიუხედავად იმისა, რომ ლოყები ეწოდა პოლიციის უფროსის სილებისაგან.

— გაიყვანეთ ეხლავე და ორმოში თავდაყირა ჩაჰკიდეთ! . — უბრძანა ბარონ იოშავამ ხელქვეითებს იეშის შესაშინებლად, მაგრამ პატარა ბიჭი გაქვავდა, ხმა არ ამოიღო, ფერიც კი არ ეცვალა.

— შენი ფეხი აღარ გადმოსცილდეს ქარხნის ალაყაფის კარს!.. — უყვირა გამგემ და გარეთ გამოაგდო.

ასე დადიოდა იეში უმუშევრად ქალაქის ქუჩებში მშიერი, დაგლეჯილი ტანსაცმელით რამდენსამე კვირას, და მისი პატარა გული შურისძიებით ივსებოდა.

— შვილო, იეში, გაიზარდე კარგი და პატიოსანი ბიჭი, თავდადებული რევოლუციონერი და არ დაგავიწყდეს შურისძიება.

ეხლაც ახსოვს იეშის ეს სიტყვები, რომელიც მამამ გადაუჩურჩულა, როცა ის პოლიციელებმა წაიყვანეს, სახეზე ქუდი ააფარეს, როგორც სახელმწიფოსთვის საშიშ პიროვნებას.

ეს იყო გაფიცვის დღეს, და მას შემდეგ მამის ამბავი აღარ გაუგია...

ის ბევრს ეცადა სადმე ჩამდგარიყო სამუშაოდ და ეცხოვრებინა ავადმყოფი დედა, და, პატარა დაიკო იუ-იუ, მაგრამ არსად იღებდენ, როგორც საშიშ ბავშს და არასაიმედო მამის შვილს...

ის, რა დილით ამომავალი მზე ამოგორდებოდა ზღვის უბიდან და გადმოადგებოდა პატარა გორაკს, სადაც საპყრობილე იყო, მიირბენდა იქ და შორიდან ათვალიერებდა, იქნება მამას მოვკრა თვალი, მაგრამ ასახი ნიმურას ასავალი არსად ჩანდა...

იეში დალონებული ჩამოჯდებოდა იქვე მდინარის პირას და გაჰყურებდა ნიპონის ლამაზ ბუნებას: მომცრო გორაკებს, ალაგ-ალაგ ზღვასავით მღელვარე მინდვრებს, ბამბის და ჩაის პლანტაციებს, ბრინჯის წყლის კვლებში ჩამდგარ ყანებს, აბრეშუმის ჭიის თუთის ხეების ხეივნებს და ლიმონის ფორთოხლის, ინდისხურმის და ჩინური თხილის ბაღებს, რომელთა ღობეებსაც ჩამწკრივებული ჰქონდა ოლეანდრები, ფიკუსები, ველინგტონები, პალმები და ნუშის და აღჯანაბადის ხეები.

ეს იყო გრაფ იოშიხიტო კუროკის პლანტაციები და ტანაკა ოკუს ბაღი, იმ ქარხნის პატრონის, საიდანაც მისი მამა ასახი ნიმურა უგზო-უკვლოდ გააქრეს.

იეშის გული უკვდებოდა, როცა ამ მდიდართა ცხოვრებას, ქონებას უკვირდებოდა, შედარებით ამ ღარიბთა აუტანელ ცხოვრებასთან, რომლებიც მათ უბანში ბლომად მოიპოვებოდენ და ამ მდიდართა ქარხნებში, პლანტაციებზე მუშაობდენ და ლუკმა-პურს ძლივს შოულობდენ...

ᲓᲐ.

— რათ უნდა იყოს ასე? ჩვენ რათა ვართ მშივრები, ნესტიან ოთახებში, როდესაც ტანაკა ოკუ და სხვები ისე კარგად ცხოვრობენ?! ჩვენ რათ გვდევნიან, გვიჭერენ და იმათ ხელს არ ახლებენ?!

არა ერთხელ გაუფიქრია ეს ჭკვიან იეშის.

ის ხანდახან თავს მოუყრიდა ხოლმე თავის ტოლ გოგო-ბიჭებს, მამისეულ წითელ ხელსახოცს შემოახვევდა ბამბუკის პატარა ტოტზე და ასე დადიოდენ გარეუბანში და თამაშობდენ, თვითონ კი წინ უძღოდა და ბრძანებებს აძლევდა, თუ როგორ ევლოთ, რისთვისაც მოიხმარდა ხოლმე დუდგულის სტვირს.

— იქ, ნიპონის ზღვის იქით, ჩრდილოეთში, საბჭოთა ქვეყანა ყოფილა თურმე, როგორც მამაჩემი მეტყოდა, სადაც ჩვენი ტოლები ასე დადიან დროშებით და წითელი ყელსახვევებით... — ეუბნებოდა იეში თავის ამხანაგებს მამისაგან ნათქვამ ამბებს.

და, აი, ეხლა, როდესაც ერთი გემით საშიში დამნაშავეები მიჰყავდათ აღმოსავლეთის კუნძულზე, სადაც იყო დასჯილთა კოლონია, ერთი პატარა ბიჭი იქცევდა ტუსაღების ყურადღებას თავისი გაბედული და ჭკვიანი ლაპარაკით.

— შენ რატომ გასახლებენ ნიპონიდან, პატარავ? — ჰკითხა დაბალი ტანის ტუსაღმა, ხელობით ქვისმთლელმა, რომელიც იგზავნებოდა კატორღაში შარაგზების მკეთებელი მუშების ზედამხედველის მოკვლისთვის.

— რა ვიცი... ტანაკა ოკუს აბრეშუმის ფარდული რათ დაწვიო... — უპასუხა ბიჭმა და გაჩუმდა.

— ჰო და... მართლაც, რათ დაწვი? — შეეკითხა მეორე, მოხუცი ტუსაღი, ხელობით მებადური და კონტრაბანდისტობაზე დაჭერილი.

— რათა და, იმიტომ რომ აბრეშუმი მხოლოდ მდიდრებისთვის მზადდება და ჩვენ კი, ღარიბებს, უბრალო ბრინჯიც კი არა გვაქვს საჭმელად; იმიტომ რომ მამაჩემი იქ მუშაობდა, ადამიანური მოპყრობა მოითხოვა და მათ კი დაიჭირეს, სადღაც უგზო-უკვლოდ გადაკარგეს, ალბათ, მოკლეს; იმიტომ რომ მეც გამომაგდეს, რადანაც ჯაშუშობა არ დავიწყე, მუშები არ გავიცი; იმიტომ რომ ჩემ ტოლ ბავშებს ქარხანაში მუშაობით სულს ხდიან, დღე და ღამე აწვალებენ; იმიტომ რომ დედაჩემი ავადმყოფობაში და შიმშილში მოკვდა, და ჩემი საყვარელი პაწია და-

იკო, იუ-იუ, მათხოვრად გადააქციეს ლუკმაპურისათვის და ეხლაც არ ეიცი სადაა... — ამბობდა ბიჭი და თვალებიდან თითქოს ცეცხლი სცვიოდა...

დის გახსენებაზე გული ამოუჯდა, ბოლმა ყელში მოაწვა, და ტუსაღებმა შენიშნეს, ქუთუთოებზე როგორ გადმოეკიდა ცრემლი...

ე.

ეს იყო იეში ნიმურა...

მან ყველა ტუსაღის გული მოინადირა გაბედული და მართალი თქმით; ის ყველას საყვარელი ბიჭი შეიქნა.

უპატრონო და არასაიმედოდ ცნობილი მოზარდები რომ მიჰყავდათ გამასწორებელ კოლონიაში, მათ იეში აირჩიეს უფროსად.

ის არ უყვარდა მხოლოდ მათ გამკილებელ ყარაულთა უფროსს, ლეიტენანტ იმამურა ნოგის, რომელიც გადაეკიდა იმაზე, რომ იეშიმ არა ერთხელ შეუბრუნდა სიტყვა, როცა ის მცირეწლოვან დამნაშავეებსაც დიდებთან თანაბრად ამუშავებდა გემზე, მძიმე საქმეებზე; იეში რამდენჯერმეც კი დაამწყვდია ცალკე, მაგრამ შეუპოვარი ბიჭის ბუნება ვერ მოხარა...

— დამაცადეთ, გავიზარდო, დადგება თქვენი აღსასრულის დღეც... მე მაინც არ დავდგები კუნძულზე და გამოვიქცევი... მე ვაჩვენებ ტანაკა ოკუს, მაკერუტოს, ბარონ იოშავას სილების ჭმევისთვის და ამ მხეც იმამურა ნოგის!.. — იმუქრებოდა იეში.

გემი მიაპობდა ზღვის მღელვარე ზვირთებს; შორს რჩებოდა ნიპონის ლამაზი ბუნება და იეშის ფიქრები პატარა დაიკო იუ-იუზე.

ამომავალი მზ ს ქვეყანა, იაპონია, ელოდა რევოლუციონური ტაიფუნის ამოვარდნას...

სეზმან ერთაწმინდელი

პიონერის თქმა

გულმზიანი მზნებით
მკერდში ეს დღე გვიყვავის,
დღედარის ქვეშ ვიზრდებით
ჩვენ, ძველის გამრიყავნი.

გულახალებს გვახარებს
დღე, ამდგარი ზვირთებად,
რა დარია, გახედეთ,
სივრცე რაგვარ ინთება!..

სხვაგან დღენი მღელვარე
დგანან გულგაბრაზებით,
მზეზე დროშა ელვარებს
ჩვენი მტკიცე რაზმებით.

მალე წამოვიზრდებით,
სისხლი დავაჟკაცდება,
ჩვენც მებრძოლი ვიქნებით,
უდრეკი, გულკაჟება.

მოვსპეთ ძალა განგების,
გულს მზეზე ვშლით ყასიდად,
როცა გავგულმაგრდებით,
ვიტყვით სიამაყითა:

„ამ ცხოვრების შვილნი ვართ,
გულჩიორა, მზებური,
ჩვენი გული მშვილდია,
სამტროდ გამზადებული.

გულპატარა პიონერთ
გვწამხარ და გვეყვარებით,
საბჭოთა საქართველოვ,
მზიან თებერვალებით.

აკაკი სოხაძე

25 თებერვალი

საუკუნით ნაჭედი
დავამსხვრიეთ ხუნდები,
საქართველოს დროშები
დღეს წითელი ფერია,

ზეიმობენ, ხარობენ
დღეს მშრომელთა გუნდები,
და ჩვენც ისე ვიმღერით,
როგორც არ გვიმღერია!

უწინ ჩვენი ქვეყანა
სისხლით იყო ნაღები,
ძვლებით იყო მებრძოლთა
მთები მოკენჭილები,

დღეს კი ახალ ცხოვრების
აშუქურდენ ჭაღები,
და კომუნას ვაშენებთ
მშრომელ ხალხის შვილები.

მუშა ხალხი ზეიმობს
თავისუფალ მხარეში,
სადაც ყოფნა ახალი
იჭედება, შენდება,

იკვამლება ქარხნებით
ქუჩები და შარები,
ცის თაღები ელვისოს
ვარსკვლავებით შვენდება.

ფრიალებენ დროშები
მეწამული ფერების,
გულს იმედი გვილაღებს
და რწმენა კი გონებას,

ეფინება სივრცეებს
ჩვენი მძლე სიმღერები,
და იშლება ხალისი
ყვავილების კონებად...

ს. წეველი

დღესაც ისევ მოქანცული
ხეევითა და თრთოლვით,
შარაგზაზე, მინდორ-ველად
ცვივა თეთრი თოვლი.

ზამთარია. ზამთრის დილა
ჩამომდგარა ბარად
და გაძარცულ ხეებს თოვლის
მოსასხამი ფარავს.

თოვლის ფიფქის ციდან ცვენა
და ღრუბლების ქულა
აკრთობს მთიდან მოფრენილებს
ჩიტებს წითელგულას.

აგერ გაშლილ მთის ფერდობზე
მოქანაობს ციგა;
ჩამორბიან, კისკისებენ
ვანო, ლეო, გიგა.

თოვლსაც სალამს აგებებენ
და სიხარულს ულევს..
ზამთრის სუსხიც ვერ გაჰყინავს
მათ პატარა გულებს.

და ან როცა თოვლის მთა-გუნდს
დაუშვებენ მძიმედ,
მათი ხმა და მოძახილი
ვის არ მოჰგვრის იმედს.

ვინ არ იტყვის, რომ მათი ხმა,
მთას რომ ხვდება თრთოლვით,
ვერასოდეს დაიფაროს
ყინვითა და თოვლით!..

ვ. გაბესკირია

პიონერი გივი

თოვს, ყინვაა... ღმუის ქარი,
ეხეთქება ხეებს, სახლებს,
ვერ გამოდის ვერვინ გარეთ,
რომ იხილოს ზეცის სახე!

ერთ ბინაზე სწორედ ამ დღეს
კოლექტივის არის კრება.
გივი სახლში როგორ დადგეს,
მეგობრები ელოდება!

ცა ფიფქებს სცრის მღვრიე ციდან,
სახლს სახურავს ქარი აგლეჯს,
პიონერი ერთი ციდა
დღეს კრებაზე მიდის მარჯვედ.

რა გაყინავს ყმაწვილურ გულს,
რა შეაკრთობს მტკიცე ძალებს,
თუნდ ათოვდეს, თუნდ აწვიმდეს,
შრომას აღარ დაიზარებს.

თოვს, ყინვაა... ღმუის ქარი,
გივი მისწვდა კრების ბინას;
ჰა, დარეკეს კიდეც ზარი,
გარეთ ისევ ცივა, ყინავს!..

კალე ბობოხიძე

ბიბლიოთეკა

შესავლის მაგიერ

წუხელ განუწყვეტლივ წვიმდა.

დაქშუოდა ქარი მინდვრებში, ხევში, მთებში, და ამღვრეული მდინარეები ზანტად მიიზლაზნებოდენ დაბლობში...

ცა შავად ჩამოსტიროდა მთა-კლდეებს, ისლის ქოხებს, და ღამის უდაბურებაში გაისმოდა წისქვილის დანჟღრეული ხრიალი.

ხრიალი არღვევდა დაყურსულ სივრცეს და იჩქმალებოდა სიბნელეში...

სადღაც კიდევ ტყიდან გამოხტებოდა აბუძგული ნადირი და ნაგაზები გაეკიდებოდენ თვალებაბრიალებული...

ზოგჯერ დაგვიანებული მეურმეები გაივლიდენ ურმების ჭრიალით და სოფლის ბოლოს საბაიას დუქნის წინ შეჩერდებოდენ.

დაანთებდენ ცეცხლს და დილამდე ეფიცხებოდენ ფიჩხების ტკრციალს...

კამეჩებს იქვე დაუჭრიდენ ჩალას და ისინი ნელა, ზანტად ღეჭავდენ.

და ამ ბნელ უდაბურებაში ბრწყინავდენ ცეცხლის ალები და იქიდან მეურმეების ქარვისფერი უდარდელი სახეები.

ყველაზე უფრო საშინელი იყო ღამე, როცა ჭექდა, ჭუხდა...

თითქოს ცა მთლიანად ჩამოიქცაო... წვიმდა კოკისპირულად, და სულდგმულის ჭაჭანება არ იყო სრულიად...

მხოლოდ გაიგონებდით ჭექას, ქუხილს და მთის მდინარეების მილეულ მხუილს...

ასეთი იყო წუხანდელი ღამეც...

და ასეთ ქარ-წვიმიან ღამეში, როდესაც ძაღლიც არ გაიგდება კარში, კერიასთან მჯდომი ეპია ეძახდა თიას:

— ბიჭო!

— ბატონო! — პასუხობდა თია.

— ახლომახლო ადგილები მოიარე. გესმის? კვიცი არ არის!

თიას თვალები აუცრემლდა და სხეულში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

ასეთ ღამეში სად უნდა წავიდეს საბრალო თია?

მას ეშინია ღამის.

მას ეშინია ღამეში შერხეული ყოველი ბუჩქის!

— ბატონო, მარტო მეშინია! — ამბობდა ძლივ-ძლივობით.

— როგორ გგონია! მე გამოგყობი თუ! — შეუყვირა მან.

— ტყუილა გაჰმევ პურს?! ტყუილა გაძლევ ფულს?! ისე გინდა იცხოვრო, არა? ხმა, კრინტი არ ამოიღო!

— ბატო...ბატ...

კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ეპიმ მრისხანებით შეჰყვირა:

— ჩქარა! წადი.

და მერე ის ხელში მსხვილი ჯოხით, თვალაცრემლილი, წვიმისაგან გაწუწული, ფეხშიშველი, მუხლებამდე ტალახში ამოსვრილი მიტლაპუნებდა.

ან კიდევ ხშირად, ძალიან ხშირად შუაღამეზე ააგდებდა საწყალ თიას ბობოლა ეპი თოლია...

— ადე ჩქარა! ხვალისთვის ფქვილი არ გვაქვს და წისქვილში წადი.

თია გულდამწვარი, ძილგატეხილი, ბუზღუნით ჩაიცვამდა ათ ადგილას დაკერილ ხალათს, მხრებზე დაიდებდა ფუთიან ტომარას და მიდიოდა ხევისკენ წისქვილში.

ერთხელ ქარიან ღამით მოუხდა წასვლა და ნამძინარევი თვალებით ვერ არჩევდა გზას.

დალმართზე დაუსხლტა ფეხი, ჩამოუვარდა ტომარა, ტომარა გაიხა და სიმინდი ერთიანად დაცვივდა...

საბრალო თია შუაღამეში აგროვებდა დაცვენილ სიმინდს გათოშილი ხელებით.

მერე კიდევ რამდენიმე ნაბიჯი ექნებოდა გადადგმული, რომ ფეხი კვლავ დაუსხლტა. ბედად, ფეხი ბუჩქებში გაეჩხირა.

ტანი ხევისკენ იყო გადაწოლილი და, ბუჩქი რომ არ ყოფილიყო, ხევში გადაეშვებოდა.

დაცემის დროს ხალათი უფრო გაეხა და პირისახე დეკაწრა.

ასე წვალებით ცხოვრობდა მოჯამაგირე თია.

თავი პირველი

ირგვლივ მთაა.

სოფლელები ხშირად მიდიან მთებში ხეების საჭრელად.

ჩრდილოეთით კიდევ მთებია ათოვლილი, ლილისფერად აბრეშუმივალებული მწვერვალებით.

მთებს შუა მოქმუის პატარა, მუდამ მარდი, მშფოთარე მდინარე, რომელიც აბრუნებს წისქვილს...

მდინარის ნაპირ-ნაპირ იშლება ჭალები, ჩალისფერი ხოდაბუნები, საურმე გზა...

სოფელი პატარაა...

თითქმის ყველგან ისლით დახურული ქოხებია...

ალაგ-ალაგ თუ შეხვდებით ყავრით გადახურულს და კიდევ უფრო იშვიათად—კრამიტით.

თავისი სიკოხტავით ყველასგან გამოირჩევა ფართოეზოიანი მოსახლე.

ეს გახლავთ ბობოლა გლეხი ეპი თოლია.

ეპიმ მოჯამაგირედ დაიყენა დედით ობოლი, ღარიბი ოჯახის შვილი თია, რომელსაც დღემუდამ ამუშავებდა...

ყოველთვის ნახავდით თიას ამ ფართო ეზოში, ან ეზოს გარეთ.

საბრალო თია ვერ უძლებდა ამდენ ტანჯვას, ჯაფას და მისი სახე თანდათან ფერმკრთალდებოდა..

თვალები ღრმად ჩაცვენოდა...

თმები კისრამდე გაზრდოდა, და ამას ეპი ყურადღებასაც არ აქცევდა...

— მოჯამაგირესათვის რა საჭიროა ჩაცმა დახურვა, რა საჭიროა კაი ს ჭველი! მ ოჯამაგირე იმიტომაა, რომ მემსახუროს! — იტყოდა ეპი ხშირად.

*

* * *

ეხლა წვიმს მოსაწყენად.

სოფელს დაჰყურებს ნაცრისფერი ცა და აღმოსავლეთის ნელი ქარი თუ ქრის.

ცივა ძალზე.

სივრცეში ჩონჩხებივით დგას გაძარცული ხეები და დროდადრო თუ გადაფრინდება ყორანი ჩხავილით, თორემ ყველაფერი მიყუჩებულია.

ერთიანად გაწუწული, პირისახე სიცივისაგან აწითლებული, აკანკალებული თია ზის ურმის კოფოზე და მიდენის ხარებს...

მას მოაქვს აკაციის მესრები, რომელიც ეპიმ იყიდა მეზობელ სოფელში.

თია ნელა, ხელაცახცახებული გადააწნავს შოლტს ხარებს, და გულის დამაღონებელი ჭრიალით მიდის ურემი.

დაბეჩავებული, გულდათუთქული თია ნელა დაღიღინებს ურემზე:

„სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო!
დილიდან საღამომდისინ არა მაქვს მოსვენებაო!“

გზას მიყვებოდა მუდამ წყალდამდგარი ადგილი სოფლის დასასრულამდე...

თია ცდილობდა ურემი ამ ტლაპოში არ ჩაეფლო, და ამიტომც არტყამდა შოლტს, რამდენადაც შეეძლო.

ახუებული ხარები მაინც განზე მიიწევდენ და ურემი თანდათან იფლებოდა ამ ტლაპოში...

— აქეთ გამოდენე, შე გამოშტერებულო ბიჭო, არ გესმის, აქით თქვა!

ყვიროდა ეპი და თან იმუქრებოდა.

თია თვალაცრემლილი ცდილობდა ლაფიდან ამოყვანას, მაგრამ ამაოდ. მაშინ ეპი მივარდა გაანჩხლებული...

— ჩამოდი ძირს, შე რეგვენო!

თია ჩამოვიდა.

— ეხლა გინდა ისწავლო უ-მის წაყვანა! — დაიღრიალა მან და ორჯერ გააწნა სახეზე.

თია შებარბაცდა, შეტრიალდა მარჯვენა ფეხის შიშველ ცერზე, თავი ვერ შეიმაგრა და ტალახში დაეცა, მაგრამ იგრძნო სისოვლე, გამოფხიზლდა და ადგა.

— მე რა ვქნა! ვერ მოვახერხე! — ბუტბუტებდა ის...

ეპი თვითონ დაჯდა კოფოზე...

— წაყევი წინ! — უბრძანა თიას, და ისიც მიდიოდა ხარების წინ ტლაპოში.

*

* * *

თიამ გარკვევით გაიგო მოახლოვებული ურმის ჭრიალი, მაგრამ ყურადღებაც არ მიაქცია.

ეს იმიტომ, რომ სხეული საშინლად უთრთოდა და ნაცემი ადგილი ძალზე ტკიოდა.

და ცოტა ხნის შემდეგ ურემიც დაეწია.

— ხი, ო ე!—გარკვევით ისმის მეურმის ხმა.

თია ისევ მიტლაპუნებს ტალახში და მას ესმის:

— თია, გამარჯობა!

თიამ მოიხედა და მიტუ დაინახა.

თია სრულიად არ მოელოდა მის ნახვას და ეხლა რომ იხილა, ძალზე გაეხარდა...

— ამ საღამოს შენთან ვიქნები, თია!—უთხრა მიტუმ და ღიმილი ჩაათოვა.

თია ჩაფიქრდა.

მან ხომ არ იცის, მე რომ მოჯამაგირედ ვარ!

მან ხომ არ იცის, მე რომ ხშირად არ დავდივარ შინ!

ამ საღამოსაც არ გამიშვებს ეპი, მაგრამ არა, ძალით წავალ!

— კარგი, მიტუ! ძალიან გამეხარდება!—უთხრა თიამ.

მერე შეხედა ეპის.

ეპის სახე მოეღუშა და დაკუსულ თვალებს რისხვის ცეცხლით ავსებდა...

თიას გააჟრჟოლა, თავი უფრო ჩაქინდრა და ისევ ტლაპოში მიდიოდა ფეხაშიშვლებული...

მიტუს ურემმა შეუხვია, ხოლო ეპიმ განაგრძო გზა... თია უკან მიხედვით დიდხანს უყურებდა, სანამ პატარა გორაკს არ მოეფარა...

(გაგრძელება იქნება)

ა. ჩ—ია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტ-ლაშქრობა საბჭოთა კავშირში

ლენინური ახალგაზრდობის კულტ-ლაშქრობამ, რომელსაც უფრო ფართო ხასიათი მიეცა ოქტომბრის რევოლუციის თერმეტი წლის თავზე, მიუხედავად მცირე ხნისა, ნათლად დაგვანახვა, თუ როგორ ებრძვის ახალგაზრდობა ძველი უკულტურო ყოფა-ცხოვრების ნაშთებს. კულტურული ლაშქრობა მოედო მთელი საბჭოთა კავშირის კუთხეებს, ფეხზე წამოაყენა კომკავშირული ახალგაზრდობა, მშრომელი ინტელიგენცია, აამოძრავა მრავალმილიონიანი მასა და ძლიერი ენერგიით دااااااا

„ჩვენ ცოცხალი საქმე"

დავათვალიეროთ წითელი უაზარმეგი.

საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკამ გამოიტანა რეზოლუცია, რომ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა ჩატარდეს კვირეული წითელი უაზარმების დათვალიერების მიზნით. თავისთავად ცხადია, რომ ამ კვირეულში მხურვალე და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პიონერებმა და მოწაფეებმა. ჩვენი ახალი თაობა არ იცნობს საფუძვლიანად ახალ უაზარმას და არც ეცოდინება, თუ რა კულტურული და პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა მიმდინარეობს იქ. წინათ უაზარმა წარმოადგენდა ყოველგვარი სისაძაგლის და გარყვნილების ბუდეს, თვით დასაწოლ ოთახში ეყარა ათასგვარი ჭუჭყი, ნაგავი და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სრულიად არ იყო დაცული. გინება, შრომის დეზერტირობა, არავითარი კულტურული საქმიანობა, — აი რა ახასიათებდა ძველად უაზარმას, ახალი უაზარმა კი რადიკალურად განსხვავდება ძველისაგან. წითელ უაზარმაში უსაქმოდ ვერ ნახავთ არმიელებს, მუშაობენ, კითხულობენ, სწერენ და, საერთოდ, ფართოდ არიან ჩაბმული ყოველგვარ საქმიანობაში. მათ მოწყობილი აქვთ კუთხეები — „წითელი", „ლენინის" და სხვ. ამ კუთხეებთან მოთავსებულია პატარა ბროშიურები, რაც დიდ დახმარებას გაუწევს პიონერს ამა თუ იმ საკითხის გარკვევაში. წითელარმიელებს მეცადინეობის და მუშაობის გარდა ესაჭიროებათ აგრეთვე გართობა და ამიტომ აქვთ კლუბი, მუსიკალური წრე, ჭადრაკი და სხვ. გარდა ამისა, სპეციალური კაბინეტი აქვს დათმობილი სამხედრო კუთხეს და ქიმიურ ლაბორატორიას. სამხედრო კუთხეში თოფი და ტყვიამფრქვევი დაშლილია თავის შემადგენელ ნაწილებად — ესეც გააცნობს პიონერს სამხედრო საქმეს და პრაქტიკას. ქიმიურ კაბინეტში უფროსი იძლევა ახსნა-განმარტებას გაზების ქიმიური შემადგენლობის და მათი გამოყენების შესახებ ქიმიურ ომში და აგრეთვე ნათელყოფს ნიღბების დამზადების საიდუმლოებას. უფრო საინტერესოა წითელარმიელთა სასადილო, რომელიც თავისი მოწყობილობით, სისუფთავით და გემრიელი საუზმეების დამზადებით არ ჩამოუვარდება არც ერთ პირველხარისხოვან სასადილოს. წითელარმიელებს აქვთ რკინის საწოლები, ყოველ ოცეულში მოწყობილია ტანისამოსის დასაკიდი და დადგმულია პირსაბნები, საფურთხებლები და სხვ. წითელარმიელების ინიციატივით ეწყობა მაღალხმიანი რადიოები, რითაც საშუალება ეძლევათ საკავშირო მასშტაბით მოისმინონ ყველა საინტერესო ამბავი, ცნობა და მუსიკა.

გარდა ამისა, უაზარმაში ასწავლიან წერა-კითხვას. აქ საინტერესოა ერთი ფაქტი: ერთი ახალგაზრდა, რომელიც სოფლიდან ჩამოვიდა ქალაქში, შემთხვევით მოხვდა წითელ არმიაში. აქ მან ისწავლა წერა-კითხვა და შემდეგ თავის დედას მისწერა წერილი, სადაც სწერდა, რომ უაზარმა არის მეორე სახლი და სკოლა, სადაც იძენენ ცოდნა-განვითარებას.

საჭიროა აგრეთვე ლიგიონთან ცოცხალი კავშირის დაჭერა და ურთიერთ შორის მუდმივი თანამშრომლობა, მისვლა-მოსვლა საქმიანი მიზნით. თავის მხრივ პიონერებმაც უნდა მოწვიონ წითელარმიელები თავიანთთან, გააცნონ მათ თავისი მუშაობა, — მხოლოდ ამით შევძლებთ მტკიცე მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

მაშ, პიონერებო, ნულარ დააგვიანებთ, ეხლავე შეუდექით ამ საქმის განხორციელებას და ყველამ მასიურად დაათვალიერეთ წითელი უაზარმები.

გოგი ლომიძე.

პიონერებს ეხმარებიან.

გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში რამდენიმე წელიწადია, რაც ჩამოყალიბებულია ა. ლ. კ. კავშირის უჯრედი.

ეს უჯრედი ყოველგვარ საქმეში, როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ დარგშიც, ეხმარება და ხელმძღვანელობს გორის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციას, „აკი"-ს სახელობის პიონერთა კოლექტივს.

უჯრედიდან გამოყოფილია რამდენიმე აქტიური კომკავშირელი, რომელნიც ხელმძღვანელობენ ამ კოლექტივს და მუშაობენ დაუღალავად პიონერთა საქმის გასაჯანსაღებლად.

გარდა ამისა, ტექნიკუმის მსმენელები დიდ დახმარებას უწევენ გაზეთის წერაში, მის თავის დროზე გამოშვებაში, მასალების მიწოდებაში და სხვ. თუ რამე გაკეთებულა ამ მხრივ, სამაზრო კომიტეტის და პედ-ტექნიკუმთან არსებულ უჯრედიდან გამოყოფილი ამხანაგების აქტიურ მუშაობას უნდა მიეწეროს.

ს. შეშაბერიძე

ლოთობის წინააღმდეგ

ამ დღეებში მოსკოვში ბაუმანის რაიონის პიონერებმა და სკოლის მოწაფეებმა მოაწყეს საინტერესო ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ: ისინი თავს დაესხენ მამებს უქმეების წინადღით, როდესაც ისინი, რა მუშაობას მორჩენ, ლუდხანებისაკენ გაემართენ „გადასაკრავად".

პიონერები, მოწაფენი წინდაწინვე შეიკრიბენ ზაგორსკის სახელობის კლუბში, სადაც განიხილეს და შეადგინეს იერიშის გეგმა; შემდეგ მათ ალყა შემოარტყეს, დაიჭირეს ელექტრო-ქარხნის „გეტ"-ის და სხვა დაწესებულების ყველა გამოსასვლელი.

მუშები რა საქმეს მორჩენ და გასწიეს „ცოტა-ოდენის გადასახუხად", ჩასაფრებულ პიონერებს წააწყდენ.

ამ ბავშთა მჭიდრო რკალში სახელდახელოდ გაიმართა მფრინავი მიტინგი, სადაც პატარა ორატორები მამებს უხსნიდენ ალკოგოლის მავნებლობას, რითაც მშობლები კმაყოფილი დარჩენ.

მაყვალა

კოჯრის პიონერ-კოლექტივში

ამ ზამთარში მონაწილეობა მივიღეთ ორ უდიდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეში. ეს იყო კულტურული ლაშქრობა და ლითონის მოგროვება. ერთი თვით ადრე ვემზადებოდით კულტურული



კოჯორის პიონერთა სახლი (პირველი)

ლაშქრობისათვის; წინასწარ ჩატარდა საუბრები კულტურული ლაშქრობისა და კულტურული რევოლუციის მნიშვნელობის შესახებ. ვემზადებოდით ლაშქრობისათვის, ვწერდით ლოზუნ ებს და ბლა-კატებს.

გასულ კვირას ჩვენი პიონერ-კოლექტივი გაემგზავრა სოფელში. წინ მიგვიძღოდა კომისია, რომელიც გვაჩვენებდა, თუ სა დარა იყო დ ზიანებული. გავწმინდეთ არხი, რომელიც გაფუჭებული იყო უ-მებისაგან, და მთელი გზა ატალახებულიყო.

შემდეგ წაველით გლეხთა კლუბში, ქოხ-სამკითხველოში. სხვათა შორის, ჩვენი გლეხთა კლუბი და ქოხ-სამკითხველო ძალიან ღარიბია, მას არა აქვს საშვალება დაიქირაოს დარაჯი, დაასუფთავებინოს ბინა და სხვა.

ჩვენ ბევრხანს ვასუფთავებდით კლუბ-სამკითხველოს.

საღამოს გავმართეთ საღამო-წარმოდგენა. მოხსენებით გამოვიდენ კომუჯრედის, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელნიც აღნიშნავდენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურას, გაუმჯობესებულ ცხოვრებას და ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას — კულტურულ ლაშქრობას. დადგმულ იქნა რევოლუციონური პიესა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოქმედებით ძალიან კმაყოფილი დარჩა ადგილობრივი გლეხობა.

გ. ფარჯიანი.

ძლიერი კოლექტივი.

ოზურგეთის „ეპოს", პარტიასთან და კომკავშირთან არსებულ ლ. ქართველიშვილის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი 168 ბავშს აერთიანებს. ამათგან 105 პიონერია, 18 პიონერ-კომკავშირელი და 45 ოქტომბრელი. პიონერთა კოლექტივი დაყოფილია 9 რგოლად; თითოეულ რგოლს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. კოლექტივს ჰყავს თავისი საბჭო, რომელიც 11 ბავშისაგან შედგება (8 პიონერ-კომკავშირელი და 3 პიონერი), გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „პიონერთა ხმა", არსებობს ცოცხალი გაზეთი.

ჩვენმა კოლექტივმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ლითონის შეგროვებაში. მადლობის ღირსი არიან ჩვენი კოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ალექსანდრე სიამაშვილი და საბჭოს მდივანი ამხ. გივი ხოხლენკო, რომლების აქტიური და ენერგიული მუშაობის გამო ჩვენი კოლექტივი ოზურგეთის თემში ერთ-ერთ ძლიერ და სანიმუშო კოლექტივად ითვლება.

პიკორი **ნათელა ჭყონია.**

ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, თუ როგორ მონაწილეობას იღებდენ პიონერები და მოწაფეები საბჭოების გადარჩევაში, ან როგორი აღმზრდელობითი შედეგი მიიღეს

ბავშვებმა ამ საზოგადოებრივი მუშაობის ჩატარების დროს.

ბავშვებო, პიონერებო, მოწაფეებო, მასწავლებელნო და პიონერ-კოლექტივების წინამძღოლებო,

ველით თქვენგან პასუხს!

პიონერებო! თქვენი ჟურნალის „პიონერის" რედაქცია აგრეთვე იძლევა რჩევა-დარიგებას. თუ რაიმე გაუგებარი იქნება თქვენთვის, შემოიარეთ რედაქციაში და აქ მიიღებთ გარკვეულ პასუხს პიონერთა მუშაობის ახალი სისტემის სხვადასხვა საკითხზე.

„პიონერის" პ/მ რედაქტორი ალიო მაშაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენს შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ამხ. პიონერებო, მაგრამ მე ხშირად მემართება ასეთი ისტორია: დავიწყებ თუ არა რამეზე ფიქრს, თავში ერთი აზრი გამივლის, მას მოყვება მეორე, მას კიდევ მესამე. აზრები ირევიან თავში და მოსვენებას არ მაძლევენ. მაგრამ, მეათემდე სანამ მივაღწევდე, პირველი აზრი სადღაც გაიპარება. ვიგონებ, ვიგონებ და მაინც ვერ მოვიგონებ დაკარგულ აზრს. უკვალოდ გაიპარა. ძალიან მოსაბეზრებელი საქმეა საკუთარი აზრების დაჭერა. ამიტომ გადავწყვიტე ამ წამების თავიდან ასაცილებლად სრულიად უბრალო საშვალება გამომენახა: ვიყიდე პატარა ბლოკ-ნოტი, ფანქარი და დავიწყე ყველა ამ აზრის გარკვევით ჩაწერა. მაშინ ყველაფერი რიგზე დაეწყო და მეც განვთავისუფლდი გაქცეულ აზრებზე ნადირობისაგან. ეხლა სრულიად არ მჭირდება ვდიო ფიქრებს, როგორც სდევს მწყემსი დაბნეულ ცხვრის ფარას.

ერთხელ პატარა წიგნაკი წავიკითხე. იქ წერია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება საპარლამენტო არჩევნები ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

წავიკითხე და ჩავფიქრდი. ამ ქვეყნებს კაპიტალისტები მართავენ, მათ ხელშია ძალა-უფლება, ფული, ქარხნები, საწარმოო იარაღები, მიწები და სხვა, ერთი სიტყვით, ყველაფერი. მუშებს და ღარიბ გლეხებს კი არაფერი არა აქვთ. და სწორედ იმიტომ, რომ ეს უკმაყოფილო მუშები და გლეხები არ აღელვდენ კაპიტალისტების წინააღმდეგ, უკანასკნელნი მათ რამდენიმე წელიწადში ერთხელ გადაუგდებენ გამოხრულ ძვალს — არჩევნებს.

— ძვირფასო ხალხო, შეგიძლია ამოირჩიო, ვინც გინდა, — ამბობენ კაპიტალისტები. — ჩვენი ქვეყანა დემოკრატიულია, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არსებობს ყოველგვარი თავისუფლება!

ყველაფერი ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვაა, სინამდვილეში კი არც ისე ლამაზადაა საქმე! სინამდვილეში ეს არჩევნები მხოლოდ მოტყუებაა.

აი, ამერიკაში, მაგალითად, არსებობს ორი პარტია: დემოკრატიული და რესპუბლიკანური. დემოკრატიულ პარტიაში არიან მსხვილი კაპიტალისტები და მეძამულეხი, რესპუბლიკანურში კი—ბანკირები და მრეწველები. არჩევნების წინ ორივე ეს პარტია ისეთ გაცხარებულ აგიტაციას ეწევა, რომ ბოლოსა და ბოლოს პარლამენტში დეპუტატებად კაპიტალის აგენტები ხვდებიან.

1912 წლის გაზაფხულზე პარლამენტში არჩევის დროს ამომრჩევლის თითო ხმაში ხუთ დოლარს იხდიდენ, ამავე წელს პრეზიდენტის არჩევის დროს კი ორ მილიონ დოლარამდე დაიხარჯა.

აი, სად მარხია ძაღლის თავი! უყურეთ, რა მოხერხებული ყოფილა ეს ხალხი!.. როდესაც ყველა ამ ოინბაზობას ვკითხულობდი, ერთი რამ მაფიქრებდა: სად არიან ამ დროს მუშები? ნუთუ ისინი ისეთი უვიცები და მონები არიან, რომ შესაძლებელია იქით უკრა მათ თავი, საითაც გსურს?

არჩევნების დროს მუშებს ყოველთვის სამუშაოდან დათხოვას ემუქრებიან. არჩევნებ.ს დროს ციხეები ყოველთვის ივსება უკმაყოფილო მუშებით და მათი მედგარი დამცველებით — კომუნისტებით.

კაპიტალისტები ყოველ ძალ-ღონეს ხმაროობენ, რომ პარლამენტში მხოლოდ მათი აგენტები იყონ გაყვანილი.

ის, რაც ხდება თავისუფალ და „დემოკრატიულ“ ამერიკაში,სხვა ქვეყნებშიც მეორდება. მაგალითად, ინგლისის პარლამენტის ყველა 425 წევრი მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტები და საააქციონერო საზოგადოებათა წევრები არიან და, რასაკვირველია, ისინი სრულიად არ ფიქრობენ მუშებსა და გლეხებზე.

მაგრამ კომუნისტურ პარტიებსაც არ სძინავთ ამ დროს. ისინი უხსნიან მუშებს კაპიტალისტების მთელ საქმიანობას. ოჰ, როგორ ბრაზდებიან ამ დროს კაპიტალისტები, როდესაც, მიუხედავად მათი ხრიკებისა, კომუნისტები მაინც გადიან პარლამენტში.

მე წამოდგენილი მაქვს, რა სიხარბით გვიყურებენ ევროპის მუშები, როდესაც ჩვენში საბჭოების არჩევნები ხდება. აი, ვის უნდა მიბაძონ მათ, თუ სურთ ქვეყნის მართველობა! მაგრამ, როდესაც საბჭოები უკვე აირჩევა, ჩვენი ამომრჩევლები კი არ გაიძახიან: „აი, ჩვენ ამოგირჩიეთ, თქვენ იქ იმუშავეთ, ჩვენ კი დავჯდებით და თვალყურს ვადევნებთ თქვენს მუშაობას!“ პირიქით, დეპუტატებმა თავისი მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა ჩააბარონ იმათ, ვინც ისინი აირჩია. საბჭოები, რასაკვირველია, მუშაობენ მთელი ქვეყნის მშრომელთა კონტროლის ქვეშ.

ამ რამდენიმე დღის წინ ერთ ჩემს ამხანაგს ვეკამათებოდი. წავეჩხუბე კიდეც. ის კარგი ყმაწვილია, მხიარული, ერთგული. ის ჩემი ერთადერთი მეგობარია, მაგრამ ჩვენ ხშირად ვჩხუბობთ, ვინაიდან ის ყველაფერს ძალიან ზერელედ უცქერის.

პიონერი სუფის წერილს საბჭოთა არჩევნების შედეგებზე

— ასტეჰეს, რაღა, გაზეთებში ამდენი აურზაური, — მითხრა მან ერთხელ, — სწერენ მხოლოდ საბჭოების არჩევნებზე, ლაპარაკობენ მხოლოდ არჩევნების შესახებ, თითქოს სხვა საინტერესო საკითხი არ არსებობდეს. ჩემის აზრით, ზედმეტია ამდენი ხმაური და გაზვიადება. ჩვენი ქვეყანა საზღვარგარეთი ხომ არ არის, ჩვენში ყველაფერი უბრალოდ უნდა ხდებოდეს. აბა, ვინ გვიშლის ხელს არჩევნებში? და არავისაც არ შეუძლია ხელი შეგვიშალოს. ვინ გაბედავს! ეს მხოლოდ დასავლეთში ხდება, სადაც სხვადასხვა პარტია ეკინკლავება ერთმანეთს, ჩვენში კი მხოლოდ ერთი პარტია არსებობს — კომუნისტური პარტია, და ყველა მას მიყვება. მართალი ვარ თუ არა?

— არა ხარ მართალი, — ვუპასუხე, მაგრამ, რომ დამემტკიცებია ჩემი ამხანაგის შეცდომა, მე ცოტა ხან როდი ვიყავი ჩაფიქრებული, რადგან ის ერთის შეხედვით თითქოს მართალი იყო. — შენ, გოგი, გავიწყდება, რომ ჩვენში არინ ისეთებიც, რომლებიც არ მიყვებიან კომუნისტურ პარტიას და მუშებს. ესენი არიან კულაკები, ნეპმანები! ხომ ასეა?

— მერე რა! ისინი ცოტანი არიან! — მომიჭრა გოგიმ.

— ბევრია თუ ცოტა, — ისინი ხომ ჩვენი ვერაგი მტრები არიან და ყოველთვის ცდილობენ ხელი შეგვიშალონ მუშაობაში, განსაკუთრებით კი არჩევნების დროს.

— ისინი ხომ საბჭოებში არ ირჩევენ, მათ ხომ არჩევნების უფლება წართმეული აქვთ.

— ისინი, რასაკვირველია, საბჭოებში დეპუტატებს ვერ ამოირჩევენ და ვერც თვითონ მოხვდებინ საბჭოში, მაგრამ ისინი ცდილობენ თავისი აგენტები გაიყვანონ!

— ვერაფერსაც ვერ გახდებიან!

— შენ გგონია, რომ ისინი არჩევნების დროს კუდამოძუებულნი სხედან? ცდები!.. კულაკი ამ დროს გაცხარებულ აგიტაციას და პროვოკაციას ეწევა.

ვის აქვს ფული? კულაკს! ვინ ყვლეფს საწყალ გლეხს? რასაკვირველია, კულაკი! ვინ ემუქრება მოჯამაგირეს გაგდებას? კიდევ კულაკი. შენ კი ამბობ, კულაკს არაფერი არ შეუძლიაო.

— დიდი ზიანის მოტანა მაინც არ შეუძლია.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ. კულაკებს, გარდა ამისა, ჰყავთ მოხელეები. მღვდლების სახით. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: კულაკები შეავიწროვებენ მოჯამაგირეებს და კიდევაც აიძულებენ მათ საბჭოში აირჩიონ არა თავისი მოძმე გლეხები, არამედ ისინი, ვინც კულაკის ინტერესებს დაიცავს. ხომ შეიძლება ასე მოხდეს?

— ასეთი შემთხვევა გუშინ გაზეთშიც წავიკითხე.

— მორჩა და გათავდა! ესე იგი, ასეთი შემთხვევები ხდება. აქედან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს მტერი კულაკების და ნეპმანების სახით, რომ ჩვენში ჯერ კიდევ გრძელდება კლასური ბრძოლა. ამიტომ დღეს მთავარი ყურადღება საბჭოთა არჩევნებს უნდა მიექცეს. შენ კი ამბობდი, თითქოს ჩვენში ყველაფერი ადვილად და უბრალოდ კეთდება. ეხლა ხომ გჯერა?

გოგი გაჩუმდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ის ყველაფერში მეთანხმებოდა.

წელს ჩვენც, პიონერებსაც, ბევრი რამის გაკეთება მოგვიხდა არჩევნების დროს. ჩვენ ვარჩევდით საბჭოსთვის მითითებებს და ახალი მუხლები შევიტანეთ შიგ. ჩვენ მოვითხოვეთ სკოლებში ცხელი საუზმეების შეძღლება, სახელმძღვანელოებზე ფასის დაკლება, აგრეთვე სასპორტო ნივთების გაიაფება.

ჩვენ გამოვიკვლიეთ მრავალი სკოლა და საბავშო სახლი. გარდა ამისა, ჩვენმა პიონერებმა სხვა მრავალი სამუშაო შეასრულეს: დავარიგეთ პროკლამაციები, დავხატეთ პლაკატები და ლოზუნგები. ამგვარად წელს პიონერებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა არჩევნებში. მალე ჩვენც გვექნება უფლება საბჭოში დეპუტატები ამოვირჩიოთ. ჯერ კი უნდა შევეჩვიოთ, ჯერ ბავშები ვართ. სანამ გავიზრდებოდეთ, ჩვენი პატარა მუშაობით შეგვიძლია შესამჩნევი წვლილი შევიტანოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სოფლებში, მაგალითად, არჩევნების დროს პიონერები დარჩებიან შინ, მოუვლიან უმცროს ძმებს, დებს და აგრეთვე დაახვედრებენ სადილს კრებიდან დაბრუნებულ დედ-მამას.

მე მგონია, რომ პიონერები ყოველთვის თვალყურს ადევნებენ, რომ საბჭოში არჩეულმა დეპუტატებმა შეასრულონ მათ მიერ შეტანილი წინადადებები და თუ არ შეასრულეს, ჩვენ, პიონერები, პასუხს მოვთხოვთ მათ!

ჩავწერე ყველაფერი ეს, წავიკითხე და ჩავფიქრდი:

— წერილს არა უშავს. პიონერებისათვის გასაგებია. გადავწერ სუფთად ქაღალდზე, ჩავდებ კონვერტში, დავაწებებ მარკას, დავაწერ მისამართს და გავაგზავნი „პიონერის“ რედაქციაში. მშვენიერი აზრია...

ოჰ, რა მოუთმენლად ველი ჟურნალი „პიონერის“ მორიგი ნომრის გამოსვლას!..

პიონერი ნ. ს-ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიულ ქვეყნებში

თუ თვალს გადავავლებთ კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე ცხოვრებას, დავინახავთ, რომ მშრომელი ახალგაზრდობა, რომელიც მოქცეულია ბურჟუაზიის კლანჭებში, საშინლად იტანჯება. ბურჟუაზია ებრძვის არა მარტო მუშებს, რომლებიც მუდამ დემონსტრატიულად გამოდიან ქუჩებში „ინტერნაციონალის" გუგუნით უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ მათ შვილებსაც, რომლებიც მოწინავე ელემენტები არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ბურჟუაზიას რომ ვკითხოთ, მას თავი უდიდეს კულტუროსნად მიაჩნია, მაგრამ ამ დიდ „კულტუროსნობაში" უდიდესი ბარბაროსობა ბუდობს. ყოველ რევოლუციონურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია მის წინააღმდეგ, ის თოფებისა და ზარბაზნების გრიალით აქრობს. დღეს ყოველ ქვეყანაში, ყოველ ქალაქში მოისმის გაფიცული მუშების ხმები, რომლებიც მოითხოვენ თავისუფლებას. ამ მხრივ იყო მიმართული ვენის მუშების თავგანწირული -ბრძოლა, ასეთისავე სახის იყო ლოძის მუშების გაფიცვა, რომელიც პოლიციის გაძლიერებულმა რაზმა თოფის გრიალით ჩააქრო. გაფიცვებში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ არა მარტო მუშები, არამედ მშრომელი ახალგაზრდობაც, რომელიც უფრო ცუდ მდგომარეობაშია. ისინი მუშაობენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

თვალი რომ გადავავლოთ პოლონეთის ციხეებს, ჩვენ იქ დავინახავთ რევოლუციისათვის მებრძოლ ახალგაზრდებით სავსე საკნებს. ისინი იქ განიცდიან დამცირებას, წამებას, სიძულილს და წყურვილს, ჩამწყვდეული არიან ხავსმოდებულ საკანში, სადაც ხშირად თვითმკვლელობით ბოლოვდება მათი სიცოცხლე. ასე, მაგალითად, პოლონეთის ერთ ციხეში მკვდარი იპოვეს 19—20 წლის ახალგაზრდა. მან ვერ აიტანა ციხის ნესტიანი ჰაერი, მისი მებრძოლი სული შეიწირა ციხის ხავსიანმა კედლებმა. მეორე მაგალითი: პოლონეთში ერთმა პატიმარმა, 21 წლის ახალგაზრდამ, თავი მოიკლა. რამ მიიყვანა იგი ამ ზომამდე, თუ არა დაუსრულებელმა ტანჯვა-წამებამ, რამდენიმე წელს ციხეში განმარტოებით ჯდომამ, სადაც მას მხოლოდ და მხოლოდ ღამის დარაჯის სასტვენელის გულშემზარავი ხმა ესმოდა. ბურჟუაზიული ქვეყნების ციხეები სავსეა კაპიტალის ტყვეებით; ისინი საშინელ წამებას განიცდიან.

პოლონეთს არ ჩამორჩებიან თავისი „გმირული საქმეებით" ახალგაზრდობის მიმართ საფრანგეთი, გერმანია, ფაშისტური იტალია და სხვა სახელმწიფონი. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოები უკანასკნელს კაპიკსაც კი არ იშურებენ ახალი ჯავშნოსანის ასაგებად, რომლითაც უნდა გაანადგურონ მეოფლიო პროლეტარიატი. მუშათა კლასი ბურჟუაზიის ამ განზრახვას გაფიცვებით ებრძვის. გერმანიაში ჩატარებულმა გამოკვლევამ ახალგაზრდობის შესახებ შემდეგი გამოარკვია: მატერიალური ხრით ისინი უმწეო მდგომარეობაში არიან. უმუშევარი მშობლები იძულებული ხდებიან თავისი მცირეწლოვანი ბავშვები მძიმე სამუშაოებზე გაგზავნონ, რაც მავნებელია ახალგაზრდების ორგანიზმისათვის. მანგეიმში 10,000 მოწაფიდან 3929 მხოლოდ სწავლობს, დანარჩენი კი ჩაბმულია მძიმე სამუშაოებში. დამშეული ბავშვებისათვის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს არა აქვთ ფული, ჯავშნოსანის აგებისათვის კი მილიონებს ხარჯავენ.

საშინელი მდგომარეობაა საფრანგეთშიც. აქ პირდაპირ სახრჩობელაა აღმართული ახალგაზრდობისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ამხ. ვოტრის წერილი, რომელიც გვისურათებს ბურჟუაზიის დამოკიდებულებას კომკავშირისა და საერთოდ ახალგაზრდობისადმი:

„პოლიცია უთვალთვალებს ორგანიზაციას, ჩხრეკს, სდევნის. ქარხნის პატრონი არ იღებს მუშას, თუ ის კომუნისტია. ამასწინათ პარიზში პოლიცია თავს დაესხა კომკავშირის მესამე რაიონს, სადაც კომკავშირის კრება იყო. პოლიციამ ჩამოართვა კომკავშირელებს წიგნაკები და თან გაიყოლია სახაზინო დავთრები. კრება ფაქტიურად დარბეული იყო. 5 კომკავშირელი დააპატიმრეს." მოვუსმინოთ შემდეგ ამხ. ვოტრის: „ამ დღეებში პოლიციის აგენტებმა ალყა შემოარტყეს კომკავშირის მე-4 რაიონის ბინას და ჩაშალეს კრება. კომკავშირის ცენტრალური რაიონის მდივანი ამხ. კარრე აქტიური მუშაობის გამო დააპატიმრეს და 15 დღით ჩასვეს ციხეში".

ასეთ მდგომარეობაშია საფრანგეთის ახალგაზრდობა. ხშირად გაფიცულთა შვილები უსახლკაროდ რჩებიან. პოლიცია, მარჯვენა ხელი ბურჟუაზიისა, შეუბრალებულია. ნორჩ ბავშვესაც კი უხეშად ეპყრობა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთი მეტად საგულისხმო ამბავი: „პარიზში ჩამოვიდა ალუენის გაფიცული ფეიქრების 18 ბავში. ბავშვების შენახვა იკისრეს პარიზის მუშათა ორგანიზაციებმა. „ლიუმანიტეს" (გაზეთის სახელწოდებაა) ცნობით, ალუენიდან გამგზავრების დროს ბავშებს მიყვებოდა პოლიციის გაძლიერებული რაზმი, რომელიც არ უშვებდა ბავშებთან გასაცილებლად მისულ ხალხს. პარიზში სადგურზე ბავშებს შეხვდა 800 მუშა, აგრეთვე კომპარტიის და მუშათა ორგანიზაციების დელეგატები. ბურჟუაზია მკაცრ ზომებს მიმართავს საშინელი რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობად. ის სცემს პატარა პიონერებსაც. ჰამბურგში პოლიცია თავს დაესხა პიონერების კრებას, სადაც პიონერები მოუწოდებდენ ყველას, დახმარებოდენ ნავსადგურის გაფიცულ მუშებს. მოწყობილი დემონსტრაცია პოლიციამ ჩაშალა, რეზინის ჯოხებით გალახა პატარა პიონერები, და ბავშები აცრემლებული დაბრუნდენ შინ. ასეთივე ამბები ხდება ჩეხო-სლოვაკიაში. კლდანოვის რაიონში შესდგა მუშა ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი კრება, რომელმაც გამოამჟღავნა ახალგაზრდობის მებრძოლი განწყობილება. კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიც მემალარეო მუშა ახალგაზრდობა ფიცს სდებს მტკიცედ იბრძოლოს თავისი უფლების გაუმჯობესებისათვის. კრებას თავს დაესხა პოლიცია. კრების ყველა ხელმძღვანელი დააპატიმრეს. ასეთი მდგომარეობაა ბულგარეთში. რუმინეთში და სხვაგან.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ჩატარების დროს პოლიციამ დიდძალი კომკავშირელი დააპატიმრა.

დაპატიმრებულები გაასამართლეს ქ. იამბულაში და სლოვნოში (ბულგარეთშია). ყველას ბრალად ედებოდა, რომ ისინი არიან კომკავშირის წევრები. 29 ოქტომბერს გამოტანილ განაჩენში 28 კომკავშირელს მიუსაჯეს 2 წლის ციხე.

არც ქალები სდუმან, მათაც შეაქვთ წვლილი ახალგაზდათა საერთაშორისო მოძრაობაში.

ლონდონში (ინგლისი) გაიფიცა 1000 მეტი ახალგაზრდა მკერავი ქალი. გაფიცვამ 2 კვირას გასტანა. გაფიცულთა მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილეს.

უფრო უნუგეშო მდგომარეობაა ფაშისტურ იტალიაში აქ ერთად შეერთებულ-შეხმატკბილებული გამოდის ბურჟუაზია და ფაშიზმი; რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. ფაშისტები აარსებენ სხვადასხვა ორგანიზაციას, რომ მასში ჩა თრიონ ახალგაზრდები და აღზრდონ თავისებურად, მაგრამ დღეს არავინ წამოეგება ფაშიზმის მიერ გადასროლილ ანკესზე. მშრომელი ახალგაზრდობა და მათი უმცროსი ძმები პიონერები თავგანწირულად იბრძვიან უსამართლობის წინააღმდეგ.

ასეთია მოკლედ ახალგაზრდობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც თავიანთ თავს უაღრესად „კულტუროსნებს" უწოდებენ, მაგრამ ფაქტები ამტკიცებენ, რომ ამ „კულტუროსნობაში" უდიდესი ბარბაროსობაა.

კ. მელაძე

ᲛᲘᲛᲘᲙᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲜᲘ

ძველად ომში ჯარი ათასგვარ ჭრელ ტანისამოსს ატარებდა, ახლა კი „მფარველი ფერის“ ტანისამოსი იცვამ და მორიდან ვერც კი შეამჩნევთ, რომ ეს ჯარია. ეს ოსტატობა გარემოცული ბუნების ფერთან შეგუება, ადამიანმა ბუნებისაგან ისწავლა. ბუნებაში გაცხოველებული ბრძოლაა, ერთი მწერი მეორეს სჭამს, ერთი ცხოველი მეორეს სიცოცხლეს უსპობს, ფრინველები უფრო სუსტ ფრინველებს არ ინდობენ შესაჭმელად. ბევრი, ძალიან ბევრი გვარის ცხოველ-ფრინველ-მწერი ვერ მოაწევდა ჩვენს დრომდე, რომ ბუნებას არ მიეცა მათთვის თავდაცვის მეტად თავისებური საშუალება — მათ ისეთივე ფერი აქვთ, როგორც გარემოცულ ბუნებას. მაგალითად, პოლუსთან, სადაც თვალმომჭრელად ელავს ყინული და თოვლი, კურდღელი, ბუ და ტყის ქათამი თეთრია; თეთრია ზღვის დათვიც, რომელიც ყინულზე გარინდდება და უცდის თავის მსხვერპლს. უდაბნოში, სადაც ირგვლივ ყვითელი სილაა, ცხოველებიც ყვითელი არიან; იქ, სადაც ირგვლივ ამწვანებულია ყოველივე, ხეებსა და მწვანე ბალახში მცხოვრებ ფრინველ-მწერებს უმთავრესად მომწვანო ფერი აქვთ.

გვაქვს თუ არა რაიმე საბუთი დანამდვილებით ვთქვათ, რომ გარემოცული ბუნების ფერი თავდაცვისთვის უნდათ ცოცხალ არსებებს? პოლარულ ქვეყანაში კურდღელი, ბუ, ტყის ქათამი და ზოგი სხვა ცხოველი **მხოლოდ ზამთარშია თეთრი**, გაზაფხულზე კი — ჭრელი, როდესაც ბუნებაც აფერადდება. დააკვირდით დედალ და მამალ ფრინველებს და დაინახავთ, რომ დედლები არიან ნაცრისფერი, ან ყავისფერი, მამლები კი აფერადებულნი. რისთვის? დედლებს უხდებათ კვერცხების გამოჩეკა და საჭიროა რაც შეიძლება ნაკლებ შესამჩნევი იყონ მტრისათვის. ბუდეში მჯდომ მწყერს ან ხოხობს თქვენ ისე ჩაუვლით, რომ ვერც კი შეამჩნევთ. ხშირია ასეთი შემთხვევა: დასაჭერად მისდევთ პეპელას, აი, კიდეც დაეწიეთ, ახლა კი ვერსად წაგივათ, ის თქვენს ხელშია — და უცბად სადღაც გაქრება იგი, ეძებთ, ეძებთ და ვერ გიპოვნიათ. რა მოხდა? ის ჩაჯდა, გაინაბა და სულ აღარა ჰგავს იმ ლამაზ ჭრელ პეპელას, წეღან რომ დაფრინავდა.

პეპელა „მოზეტიალე ფოთოლი“.

ზოგ პეპელა ამ დროს გაახმარ ფოთოლს ემსგავსება. ბევრია ასეთი პეპელა, მაგრამ მართლაც რომ საოცარია ე. წ. „მოხეტიალე ფოთოლი“ — პეპელა, რომელიც, როდესაც დამჯდარა სუფთა ნამდვილ ფოთოლს წარმოადგენს. დახედეთ სურათს და სთქვით, აბა რა უგავს მას პეპელას? აი, აფრინდა მიმალული და ათასფრად აბრწყინდა, მას ყველა მტერი ადვილად შეამჩნევს და ეს ხომ მისთვის ცუდია? ბუნებისმეტყველთა აზრით, მფრინავი და მჯდომარე პეპელას **კონტრასტი, პირიქით, ერთი-ორად ხელს უწყობს** თავდაცვას. მისდევთ ჭრელს, ლამაზს და უცებ ხედავთ უშნო ფოთოლს, რომელსაც ისე ჩაუვლით, რომ ვერც იფიქრებთ, თუ ეს განაბული პეპელაა. აფრიკაში არის პეპელა, რომელსაც ცუდი სუნი უდის და ამიტომ მტრები მას ხელს არ ახლებენ. მეორე გვარის პეპელა, რომ იმანაც გადაირჩინოს თავი, ბაძავს მას ისე კარგად, რომ მათ ერთმანეთისაგან ვერ გამოარჩევთ. აი კიდევ მაგალითი: არის ერთი ჭრელი და მეტად შხამიანი გველი, რომლის დანახვაც კი შიშს გვრის ცოცხალ არსებას. ეს გველი ძალიან ადვილი დასანახავია, რასაც მიმიკრიის მომხრეები შემდეგნაირად ხსნიან: ასეთი ფერადებიც, რომლების მეოხებით მტერი ძალიან ადვილად შეამჩნევს მათ, თავდაცვისთვისაა — მტერი ხვდება, ეს საშიშარია, ამას ხელი არ უნდა ვახლოო. ამ შხამიან გველს ბაძავს ზედმიწევნით კარგად მეორე გველი, რომელიც სრულიად უვნებელია.

ბრაზილიის ტყე ღამით.

ადამიანიც არა მარტო ომის დროს მიმართავს გარემოცული ბუნების ფერს. მაგალითად, გაზაფხულზე, როდესაც მინდორ-ველი ამწვანებულია, ტყის ქათმების მოსაკლავად მიმავალი მონადირე **მწვანე** ტანისამოსს იცვამს, რომ უფრო კარგად მიეპაროს და დაიმალოს. ზამთარში კი, იხვებზე სანადიროდ თეთრი ზეწარი მიაქვთ. თუ წყლის პირას თოვლია, მონადირე გაეხვევა ზეწარში და გაინაბება. დილას, როდესაც იხვები აიშლებიან, ისინი ვერ ამჩნევენ ზეწარშემოხვეულ მონადირეს და ახლოს გადაუფრენენ, და მონადირესაც ხომ ეს უნდა!

ამრიგად, მიმიკრია არის ფორმითა და ფერით გარემოცულ მორთულობასთან შეგუება, მაგრამ აუცილებლად საჭიროა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გავავლოთ ყოველივე, კარგად ჩავუკვირდეთ და დასკვნები მერე გამოვიყვანოთ.

შეიძლება თუ არა მიმიკრიის მომხრეთა საწინააღმდეგოდ ითქვას რამე? ვნახოთ. ხშირად მწერები და ფრინველები, რომლებსაც თითქოს დამცველი ფერი აქვთ, ისეთ ადგილასა და ისეთ ნივთებზე სხდებიან, **სადაც** მათი ფერი დამცველი აღარ არის; ახლა ასეთი კითხვა დავსვათ: რად სჭირდებათ სიჭრელე ვეფხებს და ტროპიკის სხვა ცხოველებს? ამბობენ, ეს შველის მათ, მსხვერპლს ადვილად ეკარებიანო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ცხოველები **ღამით** ნადირობენ, მაშასადამე, მათ, ფერი დახმარებას ვერ გაუწევს. იმ ცხოველებს, რომლებსაც მტაცებელნი ანადგურებენ, აგრეთვე არ შველის დამცველი ფერი, ვინაიდან კატები **სმენით** პოულობენ თავის საკბილოს, მგლები და ძაღლები — **ყნოსვით**. თუკი მიმიკრია ასეთ უპირატესობას აძლევს ზოგიერთებს, შეუგუებელი, უმიმიკრიო არსებანი რატომ არ გაქრენ სრულიად ჟამთა ვითარებაში? ყოველ შემთხვევაში, ისინი უფრო ცოტანი უნდა იყვნენ, მიმიკრიანებთან შედარებით, მაგრამ ნამდვილად კი, პირიქით, ისინი სჭარბობენ. ავიღოთ გველები. განა ზღარბი არჩევს შხამიანსა და უშხამო გველს, განა ორივეს ერთნაირად არ შეექცევა? რას შველის მათ მიმიკრია.

როგორც ვხედავთ, ორი სავსებით საწინააღმდეგო აზრი არსებობს ამ საკითხის შესახებ, რაც მოწმობს, რომ მიმიკრიის საკითხი უფრო ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი.

* * *

ერთ ზღაპარში ნათქვამია, რომ ნამცეცა ბიჭი თხუნელას ეწვია, და თხუნელამ თავისი ბინა პატარა გამოფიტული ნაჭერით გაანათა. მომხიბლავი ზღაპარი გგონიათ, როდესაც ტროპიკულ ღამეში ბრაზილიის ტყეში დგახარ, თქვენ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ საოცნებო სურათია, მხატვრის ფანტაზიით შექმნილი. ბუნებას ბნელ ხეებზე ათასობით დაუკიდნია „ლამფები", რომლებიც ანათებენ — ოქროსფერ-მომწვანო ნაპერწკლები დაფრინავს ამ ტყეში, ძირს კი, დამპალ ფესვებს შორის, მომხიბლავად ანათებენ სოკოები. მათი უცნაური ქუდები ასობითაა გაბნეული ნოტიო მიწაზე და ანათებს, ზევით კი, თვალუწვდენელი ხეების ტოტებში, ალმასებივით ბრწყინავს სხვა წერტილები — დღისით ეს მხოლოდ პაწაწა უფერული სოკოებია.

მანათობელი მწერები და სოკოები ხიბლავენ ჩვენს თვალს და ტვინსაც სამუშაოს აძლევენ. არა მხოლოდ ტროპიკებთან, ჩვენშიც არიან მანათობელი მწერები, მაგ., ციცინათელა, ფუტურო ხეც მკრთალად ანათებს ბნელში. მართალია, ჩვენში ძლივს-ძლივს, მოჩვენებასავით მკრთალად ანათებს ყოველივე ეს, და არა ისე, როგორც ტროპიკებთან, თუმც ამ ძოვლენის მიზეზი ერთიდაიგივეა. სოკოები და ბაქტერიები ანათებენ, იმიტომ რომ სუნთქავენ, და სუნთქვის დროს ჩნდება სინათლე და სითბოც. ხანდახან იმდენი სითბო გროვდება, რომ ყვავილები ჭკნება. ძველად ბევრ გაუნათლებელს აშინებდენ მანათობელი ბაქტერიები, რომლებიც სხვადასხვა საგნებს ედებოდენ, მაგ. თევზებს, ხორცს, ხბოს ძვლებს. მე-XIX საუკუნეში კარლსრუეში აუარებელი მანათობელი ბაქტერია გაჩნდა. ღამე ხორცის დუქანში ხორცის ყოველ ნაჭერს დაინახავდით, იმდენად ანათებდენ ხორცზე ბიდებული ბაქტერიები, და მეხორცემ შიშით არ იცოდა, რა ექნა — ეგონა, ხორცი მომიწამლა ვიღაცამ. ხშირად სასაფლაოზეც შეამჩნევთ ღამით სინათლეს: ცხედარი რომ იხრწნება საფლავში, ამოდის გაზი, რომელიც ანათებს. მანათობელი მიკრობები მოამრავლეს ერთხელ და ღამე მათ ისე გაანათეს ბიუსტი, რომ ფოტოგრაფიული სურათის გადაღება შეიძლებოდა. ასე მრავალფეროვან-უცნაურია ბუნება, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ბევრ საიდუმლოს უფარავს ადამიანს.

ისარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირიჟაბლის გაყინვის საწინააღმდეგო საშუალება

უმთავრესი საშინელება, რომელიც ხვდება დირიჟაბლს ცივ და არკტიკულ ქვეყნებში, საჰაერო გემის მატერიის ზედაპირის გაყინვაა. გარეკანი განსაკუთრებულ ატმოსფერულ პირობებში იფარება სქელი ყინულით, რაც მეტად ამძიმებს დირიჟაბლის წონას და აღარ აძლევს მას ფრენის საშუალებას.

თანამედროვე ჰიგანტური დირიჟაბლის თუნდაც თხელი ყინულით დაფენა იწვევს დირიჟაბლის კატასტროფას. „იტალიის" ტიპის დირიჟაბლის, რომლის მოცულობა 17,000 კ. მ. უდრის, 1 მილიმეტრის სისქის ყინულით დაფარვა იწვევს მისი სიმძიმის გადიდებას 4800 კილოგრამით. ჩვენ ვიცით, რომ „უმთავრესი მიზეზი დირიჟაბლ„იტალიის" უბედურებისა მისი გაყინვა იყო. აქამდე არ იყო საშვალება დირიჟაბლის გაყინვის წინააღმდეგ, ეხლა კი, ამ უბედურების შემდეგ, ყველა დაინტერესებულია და ყველა ცდილობს ამ უბედურების ასაცდენი საშვალება გამოიგონოს.

ამ მოკლე ხანში ს. ვენკევიჩ-ზუბმა შეადგინა დირიჟაბლის გაყინვის საწინააღმდეგო საშუალების პროექტი.

ეს პროექტი მეტად საინტერესოა, რადგან ეს საშვალება მას დაუმყარებია პირად გამოცდილებაზე: — მე მომგონდა, — წერს ის, — ჩემი ძმის გამგზავრება ციმბირში მას ეცვა თბილი დაბამბული პალტო, პალტოს ზეიდან — ბრეზენტის პლაშჩი. ის ზამთარში გაემგზავრა. გზაში წვიმა მოვიდა. შემდეგ ჩრდილო ქარმა დაუბერა, და ყველაფერი გაიყინა. ძმაც ყინულმა დაჰფარა. პატარა ბურძგლა ციმბირის ცხენები მიქროდენ. წვიმას ნამქერი მოჰყვა, მაგრამ ცხენები მაინც არ ჩერდებოდენ. მეეტლეს თავზე ბანჯგვლიანი ქუდი ჰქონდა და ასეთივე სათბური ეცვა ტანზე. თოვლის კორიანტელისაგან გზა კარგად არ ჩანდა. უცბად გაქანებული მარხილიდან გაყინული ძმა გადმოვარდა. მეეტლე დაეხმარა (თვითონ არ შეეძლო წამოდგომა) და მარხილზე შეაგორა. როცა მარხილი სადგურზე გაჩერდა, ძმა შეათრიეს ქოხში, ჩამოამტვრიეს ყინული და მხოლოდ მაშინ გახადეს პალტო: ქოხში იგი ცეცხლთან მოთბა და მეტად გაკვირვებული უცქეროდა მეეტლეს და ცხენებს, რომ ისინი თავიანთ ბანჯგვლიან ტანისამოსში ყინულისაგან თავისუფალნი იყვნენ. ნათლად ჩანს ცდიდან, რომ ბანჯგვლიან ტანისამოსს ყინული არ ეკარება, მაგალითად, ციმბირის ძროხები ბანჯგვლიანი ბალნით არიან შემოსილი, ან თეთრი დათვი.

ამიტომ, ვენკევიჩ-ზუბის აზრით, დირიჟაბლი ცივ ქვეყნებში გაფრენის წინ ბანჯგვლიანი მატერიით უნდა დაიფაროს. რასაკვირველია, ეს აზრი დიდებულია და მისი სისრულეში მოყვანა ტეხნიკურად შესაძლოა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე დირიჟაბლის გარეკანი რეზინში გავლებული მატერიისაგან შესდგება, რომელიც წყალს არ უშვებს, და ამ გარეკანის გამო იყინება დირიჟაბლი. ბურძგლა მატერიით დაფენა შედარებით ნაკლებ წონას მოუმატებს დირიჟაბლს, რაც საგრძნობლად არ შეაფერხებს დირიჟაბლის სიჩქარეს.

ასე რომ ვენკევიჩ-ზუბის იდეას ლაბორატორიული გამოკვლევა უნდა, რამაც შეიძლება დადებითი შედეგები მოგვცეს.

თამარ ჩერქეზიშვილი.

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 8 წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა და კაპიტალისტი

სათამაშო ადგილი: მოედანი ან მოზრდილი დარბაზი.

მოთამაშეთა რიცხვი: 14-50-მდე.

მოთამაშეთა განაწილება: პიონერები ამოირჩევენ ორ ბავშს, რომელთაგან ერთი მუშაა და მეორე კაპიტალისტი. დანარჩენი პიონერები დანაწილდებიან ოთხ ოთხად ან ხუთ-ხუთად და აკეთებენ ცალ-ცალკე წრეებს 5-7 ნაბიჯის მანძილზე ერთიმეორესაგან. თითოეული ასეთი წრე აირჩევს თავისი შემადგენლობიდან ერთ მოთამაშეს და ჩააყენებს წრის შუაგულში. უკვე არჩეული მუშა და კაპიტალისტი სრულებით უადგილოდ რჩებიან.

თამაშის მსვლელობა. კაპიტალისტი დასდევს მუშას, მას სურს მუშის დაჭერა, მისი ექსპლოატაცია, მუშა გაურბის კაპიტალისტს და უფლება აქვს თავი შეაფაროს რომელიმე წრეს; როგორც კი შეირბენს მუშა რომელიმე წრეში, იქ მდგომი მოთამაშე იმ წამსვე უნდა გაიქცეს წრიდან, რადგან, თამაშის წესების მიხედვით, ერთი წრის შუაგულში ორი მოთამაშის გაჩერება შეუძლებელია. კაპიტალისტი წრეში შესულ მუშას ხელს ველარ ახლებს და ეხლა უნდა დაედევნოს წრიდან გამოსულ მეორე მოთამაშეს; ეს უკანასკნელიც გაურბის კაპიტალისტს და ცდილობს რომელიმე წრეში შეაფაროს თავი. მის წრეში შერბენისთანავე წრიდან უნდა გამოიქცეს იქ მდგომი მოთამაშე და ეხლა ამ ახალ მუშას უნდა გამოეკიდოს კაპიტალისტი დასაჭერად. თუ კაპიტალისტმა მოახერხა მუშის დაჭერა, როლები იმ წამსვე შეიცვლება: მოთამაშე, რომელიც მუშას წარმოადგენდა, კაპიტალისტის როლს მიითვისებს, და უწინდელი კაპიტალისტი კი მუშისას; ახალი კაპიტალისტი გამოეკიდება მუშას დასაჭერად. რომ თამაში მოსაწყენი არ იქნეს, საჭიროა მუშისა და კაპიტალისტის ხშირი გამოცვლა.

თამაშის წესები: 1. კაპიტალისტს უფლება აქვს დაიჭიროს მხოლოდ წრის გარეშე მყოფი მოთამაშე, წრეში შესულს ის ვერ შეეხება.

2. როგორც კი შეირბენს წრეში მუშა, იქ მყოფი მეორე მოთამაშე იმ წამსვე უნდა გაიქცეს წრიდან გარეთ.

3. წრიდან გამოქცეულს უფლება აქვს იმ წამსვე დაბრუნდეს ისევ თავის წრეში, მეორე იქ მდგომი კი მაშინვე უნდა გავიდეს წრიდან.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — სახელგამი

1929 წ.

გამოდის — გამოდის

საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალები

მოზრდილთათვის **პიონერი** ორკვირეული IV წ.

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.
ექვს თვეს — 3 მან.
სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მეცირეწლოვანთათვის **„ოქტომბრელი“** ყოველთვიური III წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ოქტომბრელი“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერი — 35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტომბრელი“-ს რედაქცია

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი № 22.

მთავარლიტ. № 141. შეკ. № 65. ტირაჟი 1000.